საერთო გაზეთი

№26 (759)
ოთხშაბათი
17 ივლისი,
2024 წ.
ფასი 1.50 ლ.

ლიბერალმა ფაშისტებმა ლიბერალურ ფაშიზმს ესროლეს!

ღმერთმა დონალდ ტრამპი გადაარჩინა და არა – აშშ!

ბოროტი დევები უნიღბოდ, ანუ ამერიკელი გამძღარი რუსია!

საქართველოს ნეიტრალიტეტი გადაარჩენს

თქვენ ატყუებთ ხალხს!

დროა, დასავლეთთან ხისტად საუბარი დავიწყოთ

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა 31 ივლისს

მმართველმა პარტიამ 12 ივლისის მონაცემებზე დაყრდნობით, ენჯეო-სექტორის გამჭვირვალობის შესახებ კვლევა ჩაატარა. 474 არასამთავრობო ორგანიაზაციამ ჯერ კიდევ აპრილის თვეში ხელი მოაწერა ე.წ. საპროტესტო დოკუმენტს, რომ თითქოსდა ისედაც „გამჭვირვალეები“ არიან და კანონის მიღების შემთხვევაში, არანაირ რეესტრში დარეგისტრირებას არ აპირებენ.

სწორედ ამ ორგანიზაციების საქმიანობა იყო შესწავლილი საბაზისო მონაცემებზე დაყრდნობით: 474 ორგანიზაციიდან 51%-ს ელემენტარული ვებ-გვერდი არ გააჩნია, 62%-ს თავის დონორებზე არა აქვს მითითებული ინფორმაცია, 68%-ს არა აქვს მითითებული პროექტების დასახელება, 89%-ს არა აქვს ნაჩვენები დაფინანსების ოდენობა, 97%-ს არა აქვს ნაჩვენები წლიური ანგარიშები, ხოლო 70% არ ასაჯაროებს თავისი გუნდის „სტაფს“.

ეს არის მხოლოდ საბაზისო, ზედაპირულ მონაცემებზე დაფუძნებით ჩატარებული კვლევა, რომელმაც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა კანონის მიღების საჭიროებაში, ხოლო ენჯეო-სექტორის განცხადებები, რომ მათი საქმიანობა ისედაც „გამჭვირვალე“ და „ხელმისაწვდომია“ - დეზინფორმაცია და ფეიკი აღმოჩნდა. ველოდებით უკვე ჩატარებული კვლევების უფრო სიღრმისეულ დადასტურებას სექტემბერში შესავსები დეკლარაციების, ან ამ რეესტრში რეგისტრაციაზე უარის გამოცხადების სახით.

ტრამპი ამერიკის ხვალინდელი დღეა!

დავით ქართველიშვილი: არჩევნების შედეგების ოფიციალურ გამოცხადებამდე გაიფორმო „გამარჯვება“, არც დაელოდო ელექტორალური ნების გამოხატვას, წინასწარ შერაცხო მომავალი პროცესი „გაყალბებად“ - ეს არის ლიბერალური ფაშიზმის მოქმედების ქართული ტაქტიკა. შეეცადო კონკურენტის ფიზიკური ლიკვიდაციით გაიფორმო აპრიორი წაგებულ არჩევნებში სასურველი შედეგი - ეს არის ლიბერალური ფაშიზმის ამერიკული მეთოდები.

ამერიკის ისტორიისთვის ნაცადი პრეცედენტების რეანიმირებას დღეს ვეღარ გადააბრალებ „შემთხვევითობას“ - ეს არის კარგად მოფიქრებული და არა ერთი დემოკრატი-კონგრესმენის მიერ გაჟღერებული ანონსების ხორცშესხმა. ამჯერად, ღვთის მადლით, განუხორციელებელი - თუმცა, სამწუხაროდ, უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლის მსხვერპლშეწირვით.

ეს აღარაა მიცვალებული ადამიანების კონგრესში არჩევა, ან სასაფლაოს ბინადართა მონაწილეობა საარჩევნო პროცესებში - ეს არის ლიბერალური ფაშიზმის რეალური, ნიღაბჩამოხსნილი სახე. ამ ძალას ჩააბარო თუნდაც ჩვენს არჩევნებზე ზედამხედველობის და შეფასების ფუნქცია - უდიდესი დანაშაული იქნება ერის წინაშე. გუშინ ერთ-ერთი ასეთი „მიუკერძოებელი არბიტრი“ NDI-ს სახით, ქართული ლიბერალური ფაშიზმის პარტიულ წარმომადგენლებს ტრენინგებს უტარებდა, ხოლო წინასაარჩევნოდ აუცილებლად გაგვანებივრებენ თავისი მორიგი გაყალბებული ფეიკ-გამოკითხვებით.

ლუკა ერქვანია: წესით, ვისაც გუშინ არ დაუწყია ამერიკული პოლიტიკური სისტემის გაცნობა, მისთვის აღმოჩენა და სენსაცია არ უნდა იყოს ტრამპის მკვლელობის მცდელობა - მის შესაჩერებლად ყველა სხვა მეთოდი მოსინჯული და გამოყენებულია უკვე, არსენალი ამოიწურა.

60-იანი წლებიდან მოყოლებული ყველა, ვინც რამენაირად Deep state-ის ინტერესებთან კონფლიქტში მოვიდა, ცეცხლსასროლი იარაღით მკვლელობით დაასრულა სიცოცხლე - მათ შორის პრეზიდენტმა კენედიმ, მისმა ძმამ რობერტ კენედიმ, მარტინ ლუთერ კინგმა და მალკომ X-მა.

ოდითგანვე ასეთი იყო ამერიკული „დემოკრატია“, უბრალოდ, ჩვენი ლოკალური კონიუნქტურიდან გამომდინარე, მხოლოდ ახლა გახდა ამ თემებზე ხმამაღლა დისკუსია ნებადართული.

Deep state-ის მიერ წარმოებული ომებისა და ასეულობით მილიარდის გათეთრების წინააღმდეგ წასვლა, ცხადია, მარტივი არ იქნებოდა. არა უშავს, სადაც ფიდელ კასტრო CIA-ის მიერ ორგანიზებულ 638 მკვლელობის მცდელობას გადაურჩა, ერთს ტრამპიც გაუძლებს.

გიორგი გამსახურდია: ყოველთვის ვამბობდი და ეხლაც ვიძახი, არ არის ამერიკა და მით უფრო ამერიკული პოლიტიკა რამდენიმე სენატორი, ან კონგრესმენი.

ძალიან ფართო და ყოვლისმომცველი თემაა. ასევე არც ჯო ბაიდენის ადმინისტრაციის პირობებში დაწყებულა და მთავრდება ქართულ-ამერიკული ურთიერთობები.

ავადმყოფ მიშას უნდოდა თავისი ლობისტების მეშვეობით და სხვა თითლიბაზობებით, რომ ყველა სიტუაციის ჭიპი ყოფილიყო.

ასევე სხვადასხვა დროში, ნაცებისადმი ლოიალურად განწყობილმა დიპსტაფმა შეუწყო ხელი ყოველივეს თავისი ჩუმი საბოტაჟით.

დღევანდელი დღე მკაფიოდ გვანახებს, რომ ტრამპი ამერიკის ხვალინდელი დღეა, მოსწონს ეს ვინმეს თუ არ მოწონს, დღევანდელი რეალობა არის ეს.

როგორც რეიგანმა, თავდასხმის შემდეგ, 1984 წელს 50 შტატიდან 49- ში მოუგო კარტერის ვიცე-პრეზიდენტ მონდეილს, ისე პირწმინდად მოუგებს ტრამპი, ჯო ბაიდენს წლევანდელ არჩევნებს (მიშელ ობამას შემოყვანა კიდევ უფრო გაამყარებს დღევანდელ თავდასხმასთან დაკავშირებით გამეფებულ ეჭვებს).

ისმის კითხვა, ჩვენ რა უნდა ვქნათ? რა უნდა ვქნათ და ჩვენი ქვეყნის ინტერესებზე გათვლილი პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ, ავუხსნათ ჩვენს პარტნიორებს, რომ არავის წინააღმდეგ არ არის ჩვენი მოქმედება მიმართული, მივაწოდოთ სრული ინფორმაცია და სრული სურათი, თუ რა ხდება და რა გამოწვევების წინაშე ვდგავართ.

უნდა ვილაპარაკოთ წელში გამართულად და ღირსებით, არანაირად ენის მოჩლექვით, ცალ ფეხზე დგომით და ა.შ. ძლიერ მოკავშირეებს ყოველთვის ძლიერი მოკავშირე აინტერესებთ, აბა ვასალები და მონები, სადაც ბრძანდებიან, ყველამ ვიცით.

ღმერთო, დალოცე საქართველო და ამერიკა.



ლიბერალმა ფაშისტებმა ლიბერალურ ფაშიზმს ესროლეს!

პენსილვანიაში, საკუთარი მხარდამჭერების წინაშე სიტყვით გამოსვლის დროს, აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატს დონალდ ტრამპს ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს. ტყვია თავს მილიმეტრებით ასცდა და ყურის ნიჟარას მოხვდა. სნაიპერმა ზუსტად ისროლა. რამ იხსნა ტრამპი უეჭველი სიკვდილისგან, სხვა საკითხია. ტრამპი გადარჩა, მაგრამ მისი მხარდამჭერებისა რა მოგახსენოთ — ერთი ადგილზე გარდაიცვალა, ორი კი მძიმე მდგომარეობაში მყოფი გადაიყვანეს კლინიკაში.

ძალაუნებურად რობერტო ფიცოზე თავდასხმა გამახსენდა და ირაკლი კობახიძისადმი გამოშვებული „დამრიგებლური მუქარა“... მომიტევეთ, მაგრამ **შნო რომ გვქონდეს, ახლა ჟურით უნდა მოვაპორწიალებდეთ იმ ევროკომისარ ოლივერ ვარჰეის და სიმართლის თქმას ვაიძულებდეთ! ასეთი რანგის პოლიტიკოსები არც ასე ჰაერზე, არაფრის გამო ხუმრობენ და არც ასე არაფრის გამო არიგებენ ვინმეს — რომელი ირაკლი კობახიძის ძმა ვარჰეია, რომ მისი ყოფნა-არყოფნით შეწუხებულიყო და ძმურად ერჩია — ეს იყო მუქარის შემცველი**



გაფრთხილება! დიდ და მნიშვნელოვან ქვეყნად არ თვლიან საქართველოს, თორემ რატომ არ და ვერ ესროდნენ მასაც...

„გლობალური ომის პარტიას“ შეთხზულ ამბად ასაღებდნენ, ახლა რას იტყვიან, გითხრათ? — იგივეს, რასაც ყოველთვის ამბობენ: თავდამსხმელი მარტო მოქმედებდა; ის იყო განაწყენებული; ფანატიკოსი და ა. შ. ნებისმიერ ვერსიას განიხილავენ მტკიცებულებითი ფორმით, რასაც უძვლო ენა იტყვის, სიმართლის გარდა, რომ პირებს, რომლებიც ხელს უშლიან მავანთა ინტერესების განხორციელებას, იშორებენ! ვინ იშორებს, ისიც ცნობილია ირიბად, მაგრამ გამოძიების ორი თავი არავის აქვს.

ჩვენ რა შეგვიძლია, მხოლოდ ანალიზი, — რა შემთხვევაში კლავენ აშშ-ის პრეზიდენტებს? (შედარებით დაბალი რანგის მაღალჩინოსნებზე ცოტა სხვა კუთხე და მიმართულებაა) როდესაც ისინი მცირე, მაგრამ ძლიერი უმცირესობის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებენ/მიდიან!

ბუნებრივია, რომ პრეზიდენტებზე განხორციელებული თავდასხმები ყოველთვის რატომღაც გამოუძიებელი რჩება — გამოძიება არ ჰქვია იმას, როდესაც თავდამსხმელი მოკლულია და რასაც დაავალებენ გამოძიება, იმას იტყვის...

ელემენტარულია, ისე არ ხდება, რომ ადამიანმა გაიღვიძოს ერთ დილას და პრეზიდენტის მოსაკლავად წავიდეს...

ამერიკის შეერთებული შტატების პირველ პრეზიდენტს **აბრაამ ლინკოლნს,** როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, აფრთხილებდნენ მოსალოდნელ თავდასხმაზე, მაგრამ ის არ იჯერებდა, რომ მტრები ჰყავდა. მკვლელობის დღეს, 1865 წლის 14 აპრილს აშშ-ის ფინანსთა მინისტრი ჰიუ მაქკალაფი კაბინეტში ესტუმრა პრეზიდენტს და ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი პრობლემა გააცნო. საქმე ეხებოდა ყალბი დოლარების გავრცელებას, რამაც მასიური სახე მიიღო. ლინკოლნმა იმავე დღესვე გასცა განკარგულება, რომ ფინანსთა სამინისტროს შემადგენლობაში შექმნილიყო „საიდუმლო სამსახური“, რომელიც კონკრეტულად ამ საქმით დაკავდებოდა და დანაშაულს აღკვეთდა. იმავე საღამოს, თეატრში, სამთავრობო ლოჟაში შესულმა ნაკლებად ცნობილმა მსახიობმა, ჯონ უილიკის ბუტმა ლინკოლნი სასიკვდილოდ დაჭრა. მკვლელი ცოცხლად გამოწვეს. „აღმოჩნდა“, რომ ის იყო ავადმყოფური ზრახვების მქონე, განუზომელი ეგოიზმით დაავადებული, „სამხრეთელების მომხრე“.

ხალხის საყვარელმა პრეზიდენტმა ლინკოლნმა სამოქალაქო ომი დაასრულა, მონობა გააუქმა და ახლა ყალბი დოლარებისთვის უნდა მიეხედა. „ელიტების კაპიტალისთვის“ ასეთი პრეზიდენტი საყვარელი იყო? რა თქმა უნდა, არა! ასე რომ, კანონზომიერია, მისი მოკვლა სდომებოდათ და მოკლეს კიდეც...

აშშ-ის პრეზიდენტს, გენერალ-მაიორ **ჯეიმს გარფილდს** მხოლოდ ოთხი თვე ეკავა პრეზიდენტის პოსტი. მას ვაშინგტონში ესროლა ჩარლზ გიტომ, რომელიც განრისხებული ყოფილა იმის გამო, რომ გარფილდმა ფედერალურ თანამდებობაზე არ დანიშნა.

პრეზიდენტ **უილიამ მაკ-კინლის** მკვლელი ანარქისტი ლეონ ფრენკ ჩოლგოსი აღმოჩნდა.

პრეზიდენტ **ჯონ ფიცჯერალდ კენედის** მკვლელი, **ლი ჰარვი ოსვალდი** მკვლელობიდან ორი დღის შემდეგ ღამის კლუბის მფობელმა ჯეკ რუბიმ მოკლა ცეცხლსასროლი იარაღით. მილტონ უილიამ კუპერი (ამერიკის საიდუმლო საინფორმაციო სამსახურის მაღალჩინოსანი — ისეც „თავისიანებმა“ მოკლეს) არ იყო ერთადერთი, ვინც თეორიულად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ჯონ კენედის პროფესიონალი სნაიპერების გუნდმა ესროლა, ლი ოსვალდი კი მედიის ყურადღების გადასაფარად გაჩნდა.

კენედი იმის შემდეგ მოკლეს, რაც კუბასთან საომარი დაძაბულობა შეაჩერა და ვიეტნამთან კონფლიქტის განმუხტვა დაიწყო — იმ ომისა, რომელიც სპეციალურად დაიდგა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მიერ, როგორც შეიარაღების ინდუსტრიის ახალი ბაზარი და ელიტური ისტებლიშმენტის წინააღმდეგ ცურვა წამოიწყო...

რობერტ კენედი პრეზიდენტობის კანდიდატი იყო ძმის მკვლელობის შემდეგ და ცნობილი იყო, რომ საგარეო პოლიტიკის წარმართვას ძმის მიერ წამოწყებული კურსით აპირებდა. შესაბამისად, ისიც მოკლეს...

აშშ-ის რამდენიმე პრეზიდენტი აშკარა სიკვდილს გადაურჩა: 1950 წელს **ჰარი ტრუმენი; ჯერალდ ფორდი** ორჯერ გადაუჩა სიკვდილს 1975 წლის 5 და 22 სექტემბერს; 1981 წელს **რონალდ რეიგანი** (ფილტვი დაუზიანდა);

დონალდ ტრამპს რას ერჩოდნენ? ჯერ არ უთქვამთ, რომ მასზე თავდამსხმელი მარტოხელა ფანატიკოსი იყო, რომელიც პათოლოგიურად ვერ იტანდა მას და იმიტომ ესროლა და ამას არავითარი პოლიტიკური სარჩული არ ჰქონდა?

ეს ხომ ის დონალდ ტრამპია, რომელიც მსოფლიოს დაჰპირდა, პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში რუსეთ-უკრაინის ომსაც შევაჩერებ და სი-აი-ეი-ს საიდუმლო მასალებს, მათ შორის, კენედის მკვლელობის მასალებსაც გავასაჯაროებო. ამას ემატება მისი მკაცრი ანტილიბერალური პოლიტიკა, რაც მოიცავს ყველაფერს, ამ კუთხით ასე ატაცებული რომ არის ახლა.

თუ კარგად დავაკვირდებით, ორი პრეზიდენტისა და პრეზიდენტობის ორი კანდიდატის მისამართით განხორციელებული მომაკვდინებელი გასროლები მათ მიერ ომის შეჩერების პოლიტიკას ემთხვევა, რაც სულ მცირე, სამხედრო-ინდუსტრიული კომპლექსისა და სი-აი-ეი-ს მისამართით კითხვებს ბადებს.

დავით ქართველიშვილი: „პენსილვანიაში თავისი მხარდამჭერების მიტინგზე, სროლის დაწყებამდე, დონალდ ტრამპის ბოლო სიტყვები იყო: "...და შემდეგ, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ყველაზე ცუდი პრეზიდენტი მოვიდა ხელისუფლებაში. და ნახეთ, რა დაემართა ჩვენს ქვეყანას. არალეგალურად შემოვიდა, ალბათ, 20 მილიონი ადამიანი. და, იცით, ეს ცოტა მოძველებული მონაცემებია... ეს მონაცემები [გაჩნდა] რამდენიმე თვის წინ. და თუ მართლა სევდიანი რამის ნახვა გინდა, შეხედე რა მოხდა წარსულში...“

უკვე დაჭრილი და დასისხლიანებული ტრამპის ბოლო სიტყვები საიდუმლო სამსახურის მიერ ტრიბუნიდან გაყვანამდე იყო: „ჩემი ფეხსაცმელი ამაღებინეთ!“. ეჭვგარეშეა, რომ ესეც ერთგვარ “შემად” გადაიქცევა, ისევე, როგორც მისი ფოტო სისხლიანი ყურითა და აწეული მუშტით.

ტრამპზე მსროლელი იპოვეს იმავე ადგილას, საიდანაც ესროლა - პატარა შენობის სახურავზე. მკვდარი იპოვეს. წინასწარი იდენტიფიცირებით, ის არის მარკ ვაიოლეტსი, რადიკალური მოძრაობა “ანტიფას” წევრი. მკვლელობის მცდელობამდე ვაიოლეტმა ატვირთა ვიდეო YouTube-ზე, სადაც ის ამტკიცებდა, რომ “სამართლიანობა მოდის”.

მსროლელის გარდაცვალების ფაქტი დაადასტურეს აშშ-ის მთავარმა საინფორმაციო სააგენტოებმა. სავარაუდოდ, ის საიდუმლო სამსახურის ერთ-ერთი აგენტის მიერ არის ლიკვიდირებული.

მიუხედავად იმისა, თუ რა როლი ითამაშა ამაში უმცროსმა სოროსმა, ეჭვგარეშეა, რომ კონსერვატიული მედია იპოვის კავშირს მასსა და მსროლელს შორის. ყოველ შემთხვევაში, ირიბ კავშირს მაინც, რადგან “ანტიფაში” გაერთიანებული ბევრი საბრძოლო ორგანიზაცია სოროსის “ღია საზოგადოების ფონდის” მიერ არის დაფინანსებული. მით უმეტეს, რომ 21 იანვარს ალექს სოროსმა თავის “ტვიტერში” (X) გამოაქვეყნა ორი ფოტოს კოლაჟი: ერთზე არის ტყვიით გახვრეტილი მინა, მეორეზე კი ხელს უჭირავს დოლარის კუპიურები - ერთი 20$, ორი 10$, ერთი 5$ და ორი $1, სულ ჯამში 47$. 47 არის აშშ-ს მომდევნო პრეზიდენტის სერიული ნომერი, ანუ ტრამპის ნომერი, მისი გამარჯვების შემთხვევაში...“

„გლობალური ომის პარტიის“ არსებობის ვისაც კიდევ არ სჯერა, ნუ სჯერა, მაგრამ ის მაინც ხომ უნდა დაინახოს, რომ „იატაკქვეშ“ ისეთი ომი მიმდინარეობს, რომელსაც არანაირი წესი არ აქვს და ცნება „ადამიანობის“ ფარგლებიდან არის გასული.

დონალდ ტრამპის მკვლელობის მცდელობა, ეს არის გზავნილი ყველა იმ წონიანი ლიდერისთვის, ვინც არ გაიზიარებს „გლობალური ომის პარტიის“ პოლიტიკურ მიზნებს და მის საწინააღმდეგო სვლას განაგრძობს.

დონალდ ტრამპზე თავდასხმის განმახორციელებელს საწადელისთვის რომ მიეღწია, ტრამპი მოციქლებული ეყოლებოდათ, მაგრამ ახლა ისე გამოვიდა, რომ ლიბერალმა ფაშისტებმა ლიბერალურ ფაშიზმს ესროლეს!

მე ერთი შეკითხვა მაინც არ მასვენებს: რანაირად მოხდა, რომ მკვლელმა ასე ახლოს და მსხვერპლის მიზანში ამოსაღებად იდეალურად მოსახერხებელ ადგილზე უპრობლემოდ შეძლო „ჩაჯდომა“?

მაია ჭელიძე

ბოროტი დევები უნიღბოდ, ანუ ამერიკელი გამძღარი რუსია!

9 ივლისს, რუსეთის ფედერაციის საგარეო დაზვერვის სამსახურის პრესსამსახურმა განაცხადა, რომ ვაშინგტონს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, 26 ოქტომბერს დაგეგმილი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საქართველოში ხელისუფლების ცვლილებას მიაღწიოს.

მოპოვებული სადაზვერვო მონაცემებით, საქართველოში, ანტისახელმწიფოებრივი განწყობების გაღვივებაში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა. ამისათვის, „ამერიკელმა კურატორებმა“ უკვე მისცეს დავალება „ქართული ოცნების“ ხელისუფლების ოპოზიციას, რომ საპარლამენტო არჩევნების პარალელურად, ქვეყანაში საპროტესტო აქციები დაიწყონ.

გარდა ამისა, განიხილება დემონსტრანტთა შორის მსხვერპლის ხელოვნურად შექმნა, რის შედეგადაც „ხალხის რისხვა“ სამართალდამცველებისკენ იქნება მიმართული, რაც გასაკვირი სულაც არ არის, რადგან ამერიკელებს უკვე აქვთ ამგვარი პროვოკაციების მოწყობის გამოცდილება.

„საკმარისია, გავიხსენოთ კიევის „მაიდნის“ მოვლენები, სადაც ასობით ადამიანი შეეწირა „დემოკრატიის სამსხვერპლოს“, რომლებიც, მათ შორის, ქართველმა დაქირავებულმა სნაიპერებმა მოკლეს.

საქმე ის გახლავთ, რომ ბოლო დროს, ვაშინგტონში სულ უფრო და უფრო იზრდება უკმაყოფილება მმართველი პარტიის — „ქართული ოცნების“ ქმედებების გამო, რომელიც ამერიკული მოთხოვნების შესრულებას ცალსახად თავს არიდებს.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა, მეთიუ მიულერმა სასწრაფოდ უარჰყო რუსეთის ფედერაციის საგარეო დაზვერვის სამსახურის ინფორმაცია: „ეს აბსოლუტურად ტყუილია. ვფიქრობ, აშკარაა, რომ ეს სრულიად მცდარი ინფორმაციაა. ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც რუსეთი ავრცელებს მსგავს ბრალდებებს საქართველოსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში აშშ-ის ჩართულობასთან დაკავშირებით, რაც სრულიად მცდარი და აბსურდულია“, — განაცხადა მეთიუ მილერმა და დასძინა: ხაზს ვუსვამ ირონიას — რუსეთი, რომელსაც საქართველოს ტერიტორიის 20% უკანონოდ აქვს ოკუპირებული, ამ დროს ამ აბსურდულ ბრალდებებს უყენებს სხვა ქვეყანას.“

რუსეთის ფედერაციის დაზვერვის სამსახურმა რაც თქვა, ისედაც ვიცოდით, ტყუილად გაისარჯა, მაგრამ გაფრთხილება, თუნდაც ოკუპანტისგან, უარესი მოგელით სამოქალაქო ომის სახითო, მაინც კარგია — ანუ, რუსეთს, ამ შემთხვევაში, არაფერი შეუთხზავს;

არც ის მოუგონია, რომ „მაიდანში“ ქართველი სნაიპრები იყვნენ ჩართულები, — საქართველოში მათი გვარ-სახელებიც შესანიშნავად ვიცით.

რუსეთის დაზვერვას ის აღარ უთქვამს, მტრისას და, რომ ვერ იმარჯვოს საქართველოს ხელისუფლებამ და შესაბამისმა ორგანოებმა, კოლექტიური დასავლეთის ხელშეწყობით მართლა განმეორდება „თბილისის ომად“ სახელდებული ნგრევა და სისხლისღვრა ძმებს შორის. ახლა უკრაინელი სნაიპერები იქნებიან „თბილისური მაიდნის“ მონაწილეები და ეგეც ვიცით.

რუსეთი ოკუპანტია! — ვიცით,

რუსი და ამერიკელი სამხედროები 2022 წ. ოქტომბერი. სირია

მაგრამ ისიც ვიცით, რა დემოკრატიც არის აშშ — სადაც ფეხი შედგა დემოკრატიის სახელით, ყველგან სისხლის გუბეები დააყენა!

24 წლის წინათ გამოქვეყნდა ჩემი ინტერვიუ თბილ და ტკბილ გურამ დოჩანაშვილთან „საერთო გაზეთის“ წინამორბედ „მართალ გაზეთში“ სათაურით „ამერიკელი გამძღარი რუსია!“ მას შემდეგ ვუყურებ და ვრწმუნდები, რომ მართლაც ასეა, უბრალოდ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის პრესტიჟი დაეცა და საინფორმაციო-პროპაგანდისტული ომი კატასტროფულად წააგო. სულ ეს არის, თორემ რამ გაყო — ორივე „ბოროტების ყვავილია!“

ყველაფერი ვიცით, მაგრამ რა ვქნათ, რომ პატარა ქვეყანა და მცირერიცხოვანი ერი ვართ — რატომ არ უნდა ორივე „სიაფანდ კეთილისმყოფელს“, რომ თავი დაგვანებოს, რას გვებღაუჭებიან კალთაზე?

აბსურდული მდგომარეობაა, ოკუპანტი რუსეთი გვაფრთხილებს, თქვენს მეგობრებს ამერიკიდან და ევროპიდან თქვენთვის ზურგში მახვილის ჩაცემა უნდათო და ახლა ჩვენ უნდა ვარკვიოთ, რუსეთი „გამოსწორდა“ და კეთილ ოკუპანტად იქცა, თუ აშშ „გაფუჭდა“ და სამოქალაქო ომის გამღვივებლად იქცა? ალბათ, ასეთ შემთხვევებზე შეიძლება ითქვას — სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოსო.

ჩვენ, ალბათ, ღმერთსა და საქართველოს ხელისუფლებას ერთდროულად უნდა ვწირავდეთ მადლობას, რომ ეს ორი ბოროტი დევი საქართველოს ტერიტორიაზე არ შეიბა და ნაცარტუტად არ აქციეს აქაურობა.

რუსეთი ოკუპანტია და ამას არც მალავს, მოგახლის პირდაპირ, რაც სათქმელია, არ მოგეპარება, ხედავ, რომ დუჟმორეული დასატორად მობაჯბაჯებს; აშშ დემოკრატია და ოკუპანტობას მალავს, გეპარება ლაჩარად ცნობილი კოიოტივით, არ იცი, საიდან გამოგიხტება, ამიტომ, პირადად მე აშშ-ის უფრო მეშინია...

საქართველოში რომ სიტყვა „სამშობლო“ გააქრეს და „ქვეყანად“ აქციეს, შემთხვევითი არ არის. არც ის არის შემთხვევითი, რომ ძირქართველები უსამშობლოებად აქციეს. აშშ ხომ იქ მცხოვრებთათვის კონტინენტია, რომელიც ისტორიისთვის არცთუ შორეულ წარსულში მათმა საეჭვო ყოფაქცევის წინაპრებმა დაიპყრეს და ადგილობრივი მოსახლეობის ამოჟუჟვითა და რეზერვაციებში შეყრით მიითვისეს.

„ამერიკელი“ ერი არ არსებობს! ამერიკის შეერთებული შტატები იმ ბინძურ ქაფზე წარმოიშვა, რომელიც ევროპამ მოიგდო თავზე სისხლის სამართლის ყველა მიმართულების კრიმინალების სახით და მათზე დგას დღემდე. გენები არ იკარგება...

აშშ-ის საიდუმლო სპეცსამსახურებმა მილტონ უილიამ კუპერი მოკლეს, კაცი, რომელიც ამერიკის საიდუმლო ინფორმაციების მაღალჩინოსანი იყო. მას ჰქონდა „ზესაიდუმლო“ საშვი, შესაბამისად, მან ყველაფერი იცოდა და ყველა დოკუმენტზე ჰქონდა წვდომა. გარდამტეხი იყო მისი წიგნის გამოცემა „აჰა, მკრთალი ცხენი“ (1991 წ). ის ჩვენთან 1993 წელს გამოქვეყნდა. კუპერი იყო ერთ-ერთი მათგანი, რომელიც თეორიულად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ჯონ კენედის ესროლა სნაიპერების პროფესიონალურმა გუნდმა, ლი ოსვალდი კი მედიის ყურადღების გადასაფარად გაჩნდა.

კუპერმა ბევრი რამ გამოააშკარავა, მე მხოლოდ ჩვენთვის მნიშვნელოვანზე გავამახვილებ ყურადღებას, რაც კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ ევროპიდან ამერიკის კონტინენტზე გადაბარგებული ევროპელი ბოროტმოქმედების გენები არასდროს შეცვლილა: ნარკოტიკების უკანონო შეტანა და ტრეფიკინგი; „შავი ოპერაციების“ დაფინანსება; შიდს-ის ხელოვნურად შექმნა, რომელიც მიზნად ისახავდა დედამიწის მოსახლეობის, განსაკუთრებით კი შავკანიანების, ესპანური და ჰომოსექსუალი მოსახლეობის შემცირებას; ომი ვიეტნამში, რომელიც დაიდგა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის მიერ, როგორც შეიარაღების ინდუსტრიის ახალი ბაზარი; უცხო ქვეყნების სამთავრობო რეჟიმების შეცვლა; ომების წაქეზება და ა. შ. უამრავი გასაიდუმლოებული დოკუმენტი, რაც მძიმე ბრალდებებია.

რაო, ბატონო მეთიუ მილერ, თქვენივე საიდუმლო სამსახურის მაღალჩინოსანმა გამხილათ? თქვენივე მოქმედი კონგრესმენები თალიბების პირდაპირ დაფინანსებაში გადანაშაულებენ პროკურატურის მასალებზე დაყრდნობით და მაინც ცრუობს რუსეთის საგარეო დაზვერვის შეფი, როდესაც ბრალს გდებთ „საქართველოსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში აშშ-ის ჩართულობასთან დაკავშირებით?

ემოციებზე თამაში და დამუნათება, რომ რუსეთს საქართველოს ტერიტორიის 20% აქვს ოკუპირებული, მაღალ დონეზე აღარ გამოსდის, მაგრამ გარკვეულ მასასთან ხომ ჭრის და ისიც ენაზე აცრილი კაჭკაჭივით იმეორებს, რასაც ბაიდენის ადმინისტრაცია გადაუწყვეტს და დაუწერს.

ახლა ახალი „თამაში“ წამოიწყეს — აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ, საგარეო საქმეთა კომიტეტმა საქართველოსთან დაკავშირებით „მეგობარი აქტი“ წამოიწყო.

კიდევ კარგი, „ბევრი „მე“ არ ვარ მთავრობაში, თორემ დიპლომატიურ ენასა და ქმედებას ფაქიზად გადავდებდი გვერდზე და სახელდახელოდ გამოვუწერდი „მეგობრულ აქტს პერსონა ნონგრატობაზე“ ბარე ორს, მათ აგენტებს კი, — რუსეთს ვთხოვდი, მაგადანი დროებით „მეგობრულად“ ეთხოვებინა...

რა „მეგობარი აქტი“, ვინ ყოფილან ეს პატარა კაცები — დიდი ქვეყნის პატარა კაცუნები!..

ეს გამობენტერებული ევროპაც რომ აშშ-ის ფეხისხმას აჰყოლია, თუმცა რატომ ფეხისხმას? — ფულისხმას! რამდენი ევროპარლამენტარი და მათი ოჯახების რამდენი წევრია კორუფციის ბრალდებით დაკავებული და კორუფციაში ეჭვმიტანილი...

სიმართლე უთქვამს ოტო ფონ ბისმარკს, ევროპაზე საუბარი შეცდომაა, ის მხოლოდ და მხოლოდ გეოგრაფიული ცნებააო.

აგე, უკრაინა, გააქეზეს მურია და აჭმევენ მგელს...

ცალკეულმა ევროვიღაცებმა რომ გამოგვიცხადეს, შეჩერდა საქართველოს ევროკავშირში შესვლის პროცესიო, გამეცინა, — რა შეჩერდა, რაც არ მოძრაობდა და მხოლოდ ისეთივე კარუსელია, როგორც, ნატო-ში რომ ვიყავით, ოღონდ ნატო-ს გარეთ?

ჰოდა, იმას ვამბობდი, როდესაც ვიღაც კონგრესმენი ბოდავს, რომ დასანქცირება მეგობრობის აქტია, მაშასადამე, დაუფარავად ამბობენ, რომ რუსეთის დასანქცირება მათი დიდი მეგობრობის გამოხატულება ყოფილა!

კი, კი, სანქციების სახით რუსეთს ნამდვილად „მეგობარი აქტი“ გაუკეთეს, მას შემდეგ უფრო გამდიდრდა... აკი ვთქვი, აშშ და რუსეთი ერთნი არიან-მეთქი, საბრალო უკრაინელი ხალხის სისხლზე ერთი ბოროტი დევიც კარგად ხეირობს და მეორეც,

ევროპელი ბაჭაჭყინები კი გამოხრულ ძვალსაც სჯერდებიან...

ბატონი შალვა პაპუაშვილისგან გავიგეთ, რომ თურმე, 2008 წლის აგვისტოს 3-5-დღიანი ომის შემდეგ, 6 წლის განმავლობაში, ნატო-ს არცერთი ქვეყანა იარაღს აღარ აძლევდა საქართველოს. „ნაცმოძრაობა“ ამას მალავდა და საზოგადოებამ არ იცოდა, რომ ომგამოვლილი ქვეყანა სანქციის ქვეშ იყო (დავამატებდი — საქართველოს იმდროინდელ პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს ერთი წელი ვიზიტებიც არ ჰქონია, არავინ იწვევდა). კეთილი და პატიოსანი! ახლა რატომ გავიგეთ და არა 12 წლის წინათ? ან თუნდაც ორი წლის წინათ? ანდა, თუ გავიგეთ, ამით რა შეგვემატა?

როდესაც კოლონიად მიაჩნიხარ, სანქციის ქვეშაც იქნები და მუჯლუგუნებიც მოგხვდება, წიხლქვეშ თუ არ გაგიგდეს, კარგია — ხოლო, თუ ისე დადექი ფეხზე მყარად, რომ ვერ გაგიგდეს, მთლად უკეთესი!

ფაქტობრივად, დღეს მონა სავმაკის მდგომარეობაში ამოვყავით თავი — ავჯანყდით...

გაგიკვირდებათ და, სულაც არ ვფიქრობ რომ „გვსჯიან“. კოლონიზატორს თუ ქედს აღარ ვუხრი, ის კი ამის გამო ჭკუიდან გადადის და აღარ იცის, რით შემაშინოს, ის არის წაგებული, მე კი — არა; ის თუ ამის გამო ერთმანეთის მიყოლებით მიაშკარავებს თავის გველებს, ჩემს უბეში რომ მოკალათებულან, ის გადასულა ჭკუიდან, მე კი უნდა მიხაროდეს...

დათა თუთაშხიასი არ იყოს, რაც დღეს ხდება, ნამეტანი ჭკვიანი კაცის მოფიქრებული ამბები მგონია მე ეს!

ბატონმა პაპუაშვილმა, ფაქტობრივად, თვალი გაუსწორა აშშ-ს, როდესაც გაახსენა, რომ აშშ-მა „აგვისტოს ომიდან“ 6 თვე არ იყო გასული, როდესაც გადატვირთვის პოლიტიკა გამოაცხადა რუსეთთან და აგვისტოს ომიდან 2 წელი არ იყო გასული, როდესაც წითელ მოედანზე ამერიკელი ჯარისკაცები მონაწილეობდნენ აღლუმში რუსეთის პრეზიდენტის თანდასწრებითო. მე უკეთესს გავიხსენებ, 2010 წელი, უკუთვლაში, შედარებით შორია:

2019 წელი. 11 ივლისი. ამერიკის შეერთებული შტატების დეპარტამენტის განცხადება:

„ჩვენ მივესალმებით რუსი და ქართველი ლიდერების გაკეთებულ განცხადებებსა და გადაწყვეტილებებს ორმხრივი ურთიერთობების დასტაბილურების მიზნით და მოვუწოდებთ რუსეთს, განაახლოს ავიამიმოსვლა საქართველომდე და უკან.“

კიდევ უკეთესი!

5-6 დღის წინათ, „აშშ-ის თავდაცვის მდივანმა, ლოიდ ოსტინმა სატელეფონო საუბარი გამართა რუსეთის თავდაცვის მინისტრ ანდრეი ბელოუსოვთან. ოსტინმა ხაზი გაუსვა კომუნიკაციის ხაზების შენარჩუნების მნიშვნელობას რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წარმოებული ომის ფონზე“, — ნათქვამია აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის განცხადებაში.

ამას ვამბობ, ხან რომ ჭრიან და ხან რომ კერავენ! ერთნაირი გველაძუები არიან, როგორც მათთვის უკეთესია იმ მომენტში და სამომავლოდ, ისეთი თარგი

გამოჰყავთ, მაგრამ ასეთი ქმედება სხვამ არ უნდა გაბედოს!

ახლა საინტერესო ის არის, რეალურად რატომ ჩამოვიდა ვინმე უზრა ზეია, რომელიც აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ყოფილა სამოქალაქო უსაფრთხოების, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების საკითხებში. რას დაძრწის საქართველო-სომხეთს შორის?

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ერთი სიტყვისაც კი ვიღას სჯერა (თვით აშშ-შიც), მაგრამ რადგან შეხვედრები გამართა, რაღაცისთვის ნამდვილად ჩამოსულა.

ის გავიგეთ, რომ თურმე ლგბტ უფლებები და ეროვნული უსაფრთხოება მჭიდროდ ყოფილა ერთმანეთთან დაკავშირებული; ისიც გავიგეთ, რომ მათი მიზანი ყოფილა ისეთი მსოფლიოს აშენება, სადაც ლგბტ პირები თავისუფლად იცხოვრებენ და განვითარდებიან და ეს ყველგან მოხდება; რომ სადაც უნდა ვმუშაობდეთ, ადამიანის უფლებების და ლგბტ უფლებების დაცვას გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს ჩვენი საზოგადოებისთვის, ჩვენი ქვეყნების და ჩვენი პლანეტის მომავლისთვის, მაგრამ კიდევ, კიდევ?

უპირველესად, ის ვერ გავიგე, ადამიანსა და ლგბტ ადამიანებს თვითონვე რატომ აცალკევებენ, ლგბტ-ს წარმომადგენელი ადამიანი არ არის? და მეორე, ყველანი თუ ლგბტ-ები გავხდით, პლანეტის მომავალი რა არის, არსება ადამიანის გარეშე დარჩენილი ფლორა და ფაუნა?

მერე კიდევ, ის ვერ გავიგეთ, ბატონ პრემიერს რომ შეხვდა, სინამდვილეში რის შესახებ ისაუბრეს, რატომ გამოგზავნეს ეს უცნაურად თვალებბრიალა ქალი უზრა ზეია? მთავრობას ოფიციალური მშრალი ინფორმაციის გარდა არაფერი გაუმეტებია — „გამჭვირვალობის კანონთან“ დაკავშირებით, ძალიან საინტერესოა, მუქარა ჩამოიტანა თუ გარიგება?

აი, ასეთ მოცემულობაში ვართ და, საქართველომ მხარი დაუჭირა გაერო-ს გენერალური ასამბლეის რეზოლუციას, რომელიც რუსეთისგან მოითხოვს, დაუყოვნებლივ შეწყვიტოს აგრესია უკრაინის წინააღმდეგ და უპირობოდ გაიყვანოს სამხედრო ძალები უკრაინის ტერიტორიიდან. რეზოლუცია კიდევ რაღაცებისკენ მოუწოდებს, მაგრამ ის უკვე ქვეპუნქტებია.

არ ვართ სახარბიელო მდგომარეობაში. ორივე, რუსეთიც და ამერიკაც, ბოროტი დევია-მეთქი, ვთქვი, მაგრამ მათ შორის რა ძირეული განსხვავებაც არსებობს, უკვე მოგახსენეთ...

მაია ჭელიძე



პარალელი, ანუ ხინკლის დონემდე ჩამოქვეითებული საქართველო

საყოველთაოდ ცნობილია, რომ დიდი ამერიკელი მწერალი ერნესტ ჰემინგუეი 1939 წელს ჩავიდა ესპანეთში, ჩაიცვა სამხედრო ფორმა, აიღო იარაღი, შევიდა ესპანეთის ჯარში და გერმანელი ფაშისტების წინააღმდეგ იბრძოდა. ამ დამსახურებისათვის, ამერიკის ხელისუფლებამ, 1945 წელს, ომის დამთავრების შემდეგ, ჰემინგუეი ორდენით დააჯილდოვა. დაჯილდოების ცერემონიის შემდეგ გაიმართა პრესკონფერენცია, სადაც ერთმა ჟურნალისტმა უთხრა, „თქვენ, ალბათ, ამაყობთ, რომ ამერიკელი ხართ“. ჰემინგუეიმ უპასუხა „მე მრცხვენია, რომ ამერიკის მოქალაქე ვარ“. ცხადია, ჰკითხეს - რატომო? „იმიტომ, რომ ამერიკა ისეთი ქვეყნებისა და ისეთი ხალხების საქმეებში ერევა, რომელთა ცხოვრების წესის, რომელთა ტრადიციების მას არაფერი გაეგება. თუ ამერიკამ არ შეცვალა ასეთი დამოკიდებულება, დადგება დრო და ის მსოფლიოში ყველასათვის საძულველი ქვეყანა გახდება“.

ვნახოთ, როგორ შეცვალა ამერიკამ თავისი დამოკიდებულება სხვათა მიმართ. ამას წინათ ტელევიზორი ჩავრთე. რაღაც გადაცემა იყო დაწყებული. ლაპარაკობდა ამერიკელი, გლეხურად რომ ვთქვათ, „დიდი კაცი“. სახე ვიცანი, გვარი არ ვიცი. იგი ფრიად შთამაგონებელი ტონით გვეუბნებოდა შემდეგს: „თქვენ ველურები ხართ, თქვენ ჯუნგლები ხართ, თქვენ არაფერი არ გაქვთ, თქვენ არაფერი არ იცით, თქვენ არავინ არ ხართ“. ამას იმეორებდა გარკვეული სიხშირით, ალბათ, იმიტომ, რომ ჩვენს რეგვენ თავებში იქნებ როგორმე ეს აზრი შეეტანა. ბოლოს მოიღო მოწყალება და გვითხრა: „თქვენ მარტო ისა გაქვთ კარგი, - თან მუჭით გვაჩვენა, - პატარები რომ არის, კოხტები და გემრიელი - ხინკალი“.

ახლა ვნახოთ, რა უთხრა კაცობრიობას „ველურებისა და ჯუნგლების“ შვილმა:

**„ესე ამბავი ნამდვილი,
ჩინს ქვასა ზედა სწერია,
ვინ მოყვარესა არ ეძებს,
იგი თავისა მტერია“.**

„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“ - თავისი დიდებული შეგონება დიდმა შოთამ მე-12 საუკუნეში დაარტყა და 21 -ე საუკუნეში გაახვია ბადეში.

დასკვნა მკითხველმა გააკეთოს.

დალი ჭრიკიშვილი

მარცხისთვის განწირული ძალები „მაოხრებელი გზირის“ პოზიციაში არიან

გვესაუბრება პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თადარიგის პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი:

- ბატონო ლევან, მოხდა უკიდურესად შემაშფოთებელი ფაქტი - აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატს ქუჩაში ესროლეს, რასაც რამდენიმე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. მგონი, კომენტარიც ზედმეტია, მაგრამ მაინც, რას იტყოდით ამაზე?

- მოგეხსენებათ, რამდენიმე ხნის წინ სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრიც ძლივს გადაურჩა სიკვდილს, ახლა კი ტრამპს დაესხნენ თავს... როგორც ჩანს, გარკვეული ძალები ამ მეთოდით აპირებენ „პრობლემის“ მოგვარებას. დონალდ ტრამპს სერიოზული შანსები აქვს იმისათვის, რომ კვლავაც დაიკავოს პრეზიდენტის სავარძელი, ჯო ბაიდენი კი თავისი გაუაზრებელი განცხადებებით დღითიდღე კარგავს საზოგადოების ნდობას და რეპუტაციას. ფაქტია, აშშ-ის პრეზიდენტს ზელენსკი და პუტინი ერევა ერთმანეთში, არაადეკვატურად აზროვნებს და იქცევა, მაგრამ ეს თავდასხმა მხოლოდ ბაიდენის პრობლემა არ არის, ეს პრობლემა მოდის მისი გუნდიდან და გარკვეული ძალების მხრიდან, რომლებიც, თავიანთი ლიბერალური საქმეების განსახორციელებლად მაქსიმალურად ეპოტინებიან ხელისუფლებას. საგულისხმოა, რომ ისინი საკმაოდ სერიოზულ გავლენას ფლობენ, ასევე, ევროკავშირთან მიმართებაში. ევროკავშირიც აბსოლუტურად იზიარებს მათ განცხადებებს და, მონამორჩილივით, იმავე სტრატეგიის გამტარებელია, რასაც დღევანდელი აშშ-ის ადმინისტრაცია ახორციელებს. ამ ძალებს არ უნდათ, რომ რამე შეიცვალოს, ვინაიდან ტრამპმა რამდენჯერმე გააკეთა საკმაოდ სერიოზული განცხადება, თუ რას და როგორ აპირებს, მათ შორის, რუსეთ-უკრაინის ომთან მიმართებაში. როგორც მან თავად აღნიშნა, ტრამპი რომ პრეზიდენტი ყოფილიყო, შესაძლოა, რუსეთ-უკრაინის ომი მსოფლიოს თავიდან აერიდებინა. მას ჰქონდა უნარი, პუტინსა და ზელენსკის შორის იმ დონის მოლაპარაკება ეწარმოებინა, რომ საომარი მოქმედებები არ დაწყებულიყო. ეს არის ძალიან სერიოზული განაცხადი და ამას ამბობს ერთ-ერთი ზესახელმწიფოს პრეზიდენტობის კანდიდატი, რაც იმას ნიშნავს, რომ, როცა ის პრეზიდენტის კაბინეტში შევა, ეცდება, ისეთი პოლიტიკა გაატაროს, რომ ეს ომი მალევე დაასრულოს. თუმცა, იმ ძალებს, რომლებიც აქედან დიდ ფინანსურ სარგებელს ღებულობენ, არ აწყობთ ომის დასრულება. ესეც ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რის გამოც ცდილობენ, რომ ასეთი ადამიანები მოიშორონ. ეს მარცხისთვის განწირული ძალები დღეს „მაოხრებელი გზირის“ პოზიციაში არიან და ასე ადვილად არ გაჩერდებიან. წასვლამდე შეეცდებიან, კარი ისე მიიჯახუნონ, რომ პროცესები მაქსიმალურად დააზარალონ.

- ეს ფაქტი, ალბათ, გარკვეულწილად, მომავალი საპრეზიდენტი არჩევნების შედეგებზეც იმოქმედებს...

- რა თქმა უნდა! ჯერ ერთი, ბაიდენი, როგორც კანდიდატი, ფაქტობრივად, გაკოტრებულია, და მეორეც, თვითონ აშშ-ში არის უკვე განწყობები მის წინააღმდეგ. ევროპაშიც დაიწყო გამოცოცხლების პროცესი, აღარც მათ სურთ, რომ ვიღაცის კანონებითა და გადაწყვეტილებებით იცხოვრონ. რატომ შემოაქვთ თვითონ ე. წ. უცხოური გავლენების შესახებ კანონი? - ამით თავიანთი ქვეყნების სუვერენიტეტის დაცვას ცდილობენ.

ამ ყველაფრის ფონზე, აშშ-ის ნაციონალურ-დემოკრატიული ინსტიტუტი არა მხოლოდ უხეშად და უტიფრად არის ჩართული საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, არამედ, ის უკვე ოპოზიციის საწვრთნელ ბაზად ჩამოყალიბდა. ჩნდება შეკითხვები: ოპოზიციის დატრენინგება არის მათი ნამდვილი მისია საქართველოში? NDI დაუფარავად იქცა იმ ძალების კურატორად და ხელშემწყობად, რომელიც ქართველ რადიკალებს რევოლუციისთვის ამზადებს?! რამდენად მისაღებია, რომ მათი დონორები ჩვენს არასამთავრობო ორგანიზაციებს ეხმარებიან, აფინანსებენ, ატრენინგებენ და ატარებენ შეხვედრებზე იმისათვის, რომ მათ როგორღაც სახელმწიფო გადატრიალება მოაწყონ?!

- მალე ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდება თქვენი ახალი წიგნი „თანამედროვე ლიდერობის ძირითადი ასპექტები“... მგონი, მისი გამოცემა დროული და საინტერესო იქნება საზოგადოებისთვის. დღეს ხომ ყველა ლიდერობისკენ ისწრაფვის, განსაკუთრებით, პოლიტიკურ ფლანგზე?!

- გეთანხმებით, ყველას ლიდერობა უნდა, რეალურად კი, დღევანდელი მსოფლიო ნამდვილი ლიდერების გარეშეა დარჩენილი, რაც გარკვეულ პრობლემებს ქმნის არამხოლოდ საქართველოში. გვახსოვს ცივი ომის პერიოდი, როდესაც მსოფლიოს მართავდა ცალკე აშშ-ის პრეზიდენტი რონალდ რეიგანი, ცაკლე გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი და ა. შ. მიუხედავად იმისა, მოსწონდათ თუ არა, ისინი უძლიერესი ლიდერები იყვნენ, რომლებიც არამხოლოდ მართვის პრინციპებით გამოირჩეოდნენ, არამედ თანმიმდევრულ პოლიტიკას ახორციელებდნენ და ზუსტად იცოდნენ, რას რისთვის აკეთებდნენ!

დღეს კი, ვის უნდა ვუწოდოთ ლიდერი, ჯო ბაიდენს თუ საფრანგეთის პრეზიდენტ მაკრონს, რომლებიც გვეუბნებიან, რომ თურმე ჩვენი ევროკავშირში გაწევრიანება არ შეიძლება, რადგან დემოკრეტიის პრინციპებს ვარღვევთ?! მეორე მხრივ, საფრანგეთის ელჩი აკეთებს განცხადებას, რომ მისმა ქვეყანამ შეუწყვიტა ფინანსური დახმარება საქართველოს. რეალურად კი აღმოჩნდა, რომ თურმე საფრანგეთი არასდროს, არანაირად არ დაგვხმარებია ფინანსურად და არც ახლა გვეხმარება... და როგორ შეიძლება, შეგვიწყვიტოს დახმარება ქვეყანამ, რომელიც არასდროს დაგვხმარებია?!

ელჩი არის პიროვნება, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება თავისი ქვეყნის ხელისუფლებას, ის არის ხელისუფლების წარმომადგენელი, მისი პოლიტიკის გამტარებელი და საკუთარი მოსაზრებით არაფერს აკეთებს. ამ შემთხვევაში, საფრანგეთის ელჩმა ეს განცხადება, სავარაუდოდ, მაკრონთან შეათანხმა. აქეთ აშშ-მა გამოგვიცხადა თავისი გადაწყვეტილება, რომ ჩვენთან არ ჩაატარებს სწავლებას ღირსეული პარტნიორობის ფარგლებში. ქვეყანა სტრატეგიული პარტნიორს გვეძახის და, ამავე დროს, ჩვენი თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას ხელს არ უწყობს! მათ განცხადებას მეორე დღეს ევროკავშირის განცხადება მოჰყვა, რომ ქართულ ჯარს აღარ დაეხმარებიან 30 მილიონით და ამ თანხას ქართველ ნჯო-ებს ჩაურიცხავენ. წარმოიდგინეთ, რომ ეს 30 მლნ, რომელიც უნდა მოხმარებოდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებას, უცებ გადაათამაშეს და არასამთავრობო სექტორს ჩაურიცხეს. რატომ? - იმის გამო, რომ რევოლუცია მოახდინონ საქართველოში? ვხედავთ, რომ ამას ღიად აცხადებენ და აღარ მალავენ!

- სამწუხაროა, რომ მათ ასე მარტივად დაივიწყეს ქართველი ჯარისკაცების თავგანწირვა ე. წ. სამშვიდობო მისიებში...

- გეთანხმებით. საინტერესოა, რა პასუხს სცემენ ჩვენი პარტნიორები ამ საქციელით ქართველ სამხედროებს ან მათ ოჯახებს, ვინც წლების განმავლობაში ავღანეთსა და ერაყში დაიღუპა, ან მათ, ვინც იქიდან დასახიჩრებული, შერყეული ჯანმრთელობით დაბრუნდა? ვინმეს სჯერა, რომ საქართველოს ეროვნულ ინტერესებში შედიოდა ავღანეთში, ან ერაყში ბრძოლა? რატომ ვიყავით იქ?! - იმიტომ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობაში ჩვენი სიტყვა გვეთქვა! ახლა კი ისინი კი გვეუბნებიან, რომ ქუდს თუ დავიხურავთ ოდნავ მარცხნივ, ან ოდნავ მარჯვნივ, - აღარ დაგვეხმარებიან. ეს არის აბსურდი და ეს არის იმ არათანმიმდებრული პოლიტიკის გამოვლინება, რაც მოდის მათი დედაქალაქებიდან და მათი ლიდერებიდან!

ვნახეთ, რომ საპასუხოდ, ხელისუფლებამ თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი 100 მილიონი ლარით გაზარდა. ასე რომ, რაც უნდა ილაპარაკონ ჩვენმა პარტნიორებმა, რომ დახმარებას გვიწყვეტენ და თითქოს დავიღუპებით - ფაქტები სხვა რამეს გვეუბნება. მათი საქციელი არის ინდიკატორი, რომ ჩვენი თავდაცვა და უსაფრთხოება რეალურად არავის აინტერესებს, ეს უცხოური ფინანსური დახმარებები კი, ახალი ვალდებულებების აკიდებით, მხოლოდ ჩვენი ქვეყნის მძევლად აყვანის საშუალება იყო!

როგორ შეიძლება ვთქვათ, რომ უკრაინა და მოლდოვა უფრო არის მზად თავიანთი სტანდარტებით, ქმედებებით, მდგომარეობით ევროკავშირის წევრობის შესახებ მოლაპარაკებების დასაწყებად, ვიდრე საქართველო, როდესაც ერთი ქვეყანა დსთ-ის წევრია და მეორეში ომი მიმდინარეობს?! აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების მოლოდინი არის ფარსი და მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მექანიზმი იმისათვის, რომ მუდმივ მძევლობაში გვამყოფონ. ამიტომ ჩვენი საზოგადოების „ერთიანი ნეიტრალური საქართველოს“ პრიორიტეტი სწორედ ნეიტრალური პოზიციის დაკავება და ისეთი ალტერნატიული პარტნიორების ძიებაა, რომლებიც საქართველოს მიმართ პატივისცემას გამოხატავენ და ვასალურ დამოკიდებულებას არ მოითხოვენ. საბედნიეროდ, მრავალპოლუსიან სამყაროში ამისი შანსი არის.

- ოპოზიციურ ველზე დიდი გადაჯგუფება მიმდინარეობს. რას შეცვლის მათი გაერთიანება საარჩევნო რეიტინგში?

- შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება! ვხედავთ, რომ „ნაციონალური მოძრობის“ „ახალი“ სახეები, სინამდვილეში, ნაციონალური იდეებით გაჟღენთილი ძველი სახეები არიან, რომლებმაც „ახალი ნაცები“ დაირქვეს. თუმცა, მე მივესალმებით მათ ასეთ გამჟღავნებულ ქმედებებს, უკეთესია, რაც მალე გამოტყდებიან „ნაცობაში“ და რაც მალე დაანახებენ საზოგადოებას თავიანთ ზრახვებს. აქვე ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მე ვერც ახალ და ვერც ძველ ნაცებს წარმატებას ვერ ვუსურვებ, თუნდაც იქიდან გამომდინარე, თუ როგორ მართავდნენ ისინი ქვეყანას, როგორ მიართვეს ხონჩით ჩვენი ქვეყნის 20 % პროცენტი ოკუპანტს და როგორ გადასცეს სტრატეგიული ობიექტები რუსეთს! რაც შეეხება ამ ვითომდა „ახალ“ სახეებს, ისინი, ალბათ, ამ პარტიის ძველ და ახალ მავნებლობაზე პასუხისმგებლობასაც არ გაექცევიან?!

- რა აქცენტებს გამოყოფდით ნატო-ს საიუბილეო სამიტიდან, რომელიც ახლახან ვაშინგტონში გაიმართა?

- ფაქტია, რომ ნატო-ს ლიდერებმა და პარტნიორმა ქვეყნებმა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის 75 წლის იუბილე ღრმა პოლიტიკური გაურკვევლობის ფონზე აღნიშნეს. გამოიკვეთა, რომ ნატო და რუსეთი ისევ დაპირისპირებულ მხარეებად რჩებიან და ერთ დროს არსებულ ნატო-რუსეთის კომისიას ჯერჯერობით აღდგენა არ უწერია; რომ უკრაინა მიიღებს დახმარების უზარმაზარ პაკეტს, იმედთან ერთად, თუმცა მას ალიანსში არავინ გააწევრიანებს - აკი გაჟღერდა კიდეც, რომ ამის შესაძლებლობა მას შემდეგ იქნება, თუკი უკრაინა რუსეთს დაამარცხებს! არის კიდევ ერთი ალტერნატივა, რომ უკრაინა გახდეს ნატო-ს წევრი, თუ რუსეთ-უკრაინის ომი რუსეთის სასარგებლოდ დასრულდება და შემცირებული ან საგრძნობლად დაპატარავებული უკრაინა შევა ნატო-ში.

საქართველოსთან მიმართებაშიც დაიტესტა გარკვეული მინიშნებები - საქართველო ნატო-ში, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე - მაგრამ არ გაამართლა. კვლავაც დაგვტუქსეს და მოგვიწოდეს, რომ უფრო მეტი რეფორმებითა და დემოკრატიის მეტი განვითარებით არის მხოლოდ შესაძლებელი, რომ ნატო-ს კარი ჩვენ წინ უფრო ფართოდ გაიღოს... თუმცა, შევალთ თუ არა ამ კარში ოდესმე, ეს სხვა თემაა! ჩემი აზრით, საინტერესო და გაცილებით მნიშვნელოვანი ნატო-ს შემდეგი სამიტი იქნება, როდესაც მის ლიდერ წევრ-სახელმწიფოს, აშშ-ს ახალი პრეზიდენტი ეყოლება!

ნონა ქარქაშაძე

საქართველოს ნეიტრალიტეტი გადაარჩენს

გასულ კვირას ახალი საზოგადოებრივი მოძრაობა „ერთიანი ნეიტრალური საქართველოსთვის“ დაფუძნდა. ორგანიზაციის მიზანი საქართველოს სტაბილური განვითარება, უსაფრთხოება და მისი ინტერესების დაცვაა. სახელწოდებიდანვე ნათლად ჩანს, რომ კიდევ ერთი მთავარი ამოცანა საქართველოს ერთიანობა, მთლიანობაა. აღნიშნულ მოძრაობას შორსმიმავალი გეგმები და მიზნები აქვს, რის შესახებაც მისი დამფუძნებლები „საერთო გაზეთს“ თავად ესაუბრნენ:

ბიძინა გიორგობიანი: პირადად მე საზოგადოებრივ მოძრაობაში „ერთიანი ნეიტრალური საქართველოსთვის“ ოთხ დანარჩენ დამფუძნებელთან ერთად გავერთიანდი. მიზეზს რაც შეეხება, მოგეხსენებათ, 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელი მაქვს მოწერილი. დამოუკიდებლობისთვის იმიტომ როდი ვიბრძოდით, რომ ჩვენი ქვეყანა რაღაც გაურკვეველი ლიბერალური გლობალისტური მოძრაობების ნება-სურვილის შემსრულებელი, მარიონეტული სახელმწიფო ყოფილიყო, რომელიც რაღაც პროექტების შემადგენელი ნაწილი იქნებოდა. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოში ყველა მიმართულებით მსჯელობა უნდა გაიხსნას, თუ როგორ უნდა განვითარდეს ჩვენი ქვეყანა იმისთვის, რომ მან უახლოეს წლებში მოიპოვოს უსაფრთხო განვითარების, პოლიტიკური სტაბილურობისა და ეკონომიკური წინსვლის პირობები. ერთმნიშვნელოვნად იმის თქმა, რომ მხოლოდ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაცია არის ჩვენთვის უსაფრთხოების მომტანი და გარანტია, სინამდვილეს არ შეესაბამება. ეს ალიანსი ვეღარ არის უსაფრთხოების გარანტია, რასაც 17 წელია, გვაჯერებდნენ. საქართველო კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და ეკონომიკური განვითარების ინდექსით, ასევე სხვა ბევრი პარამეტრით წინ უსწრებს ქვეყნებს, რომლებიც ამჯერად ალიანსის წევრები არიან. მოკლეფეხებიანი ტყუილი სახეზეა — ხან მაპზე უკეთესი მოგვცეს, ხან ასპირანტი გავხდით, ახლა საერთოდ ვაშინგტონის დეკლარაციაში მოხსენიებულიც კი აღარ ვართ. უკრაინაც საიუბილეო სამიტზე ცრუ იმედებით გამოკვებეს, რათა იქ გარკვეული პროექტები განახორციელონ, რაც მათი ალიანსის უსაფრთხოებისთვის არის საჭირო და არა იმ ქვეყნისთვის, რომელიც განადგურების პირასაა. უკრაინას ნატო-ში მიღება გარკვეული ვადით გადაუდეს მაშინ, როცა ეს უკანასკნელი სისხლისგან იცლება. ამ ფონზე ადვილად შეგვიძლია დავასკვნათ, რა ვითარებაა საერთაშორისო სამართლის, ურთიერთობების მხრივ.

უკრაინის ომმა ბევრი რამ გვასწავლა და დასკვნების გაკეთება საშუალება მოგვცა. ქართველი ხალხი ბრძენია. ქართველები დიდი ისტორიული მეხსიერების ხალხი ვართ. ჩვენ 25 საუკუნეა, რაც სახელმწიფოდ თავი გვახსოვს. სხვის მაგალითზე არაერთი დასკვნა გამოგვიტანია და ახლაც ასე უნდა მოვიქცეთ. პირველ რიგში, საკუთარი თავის იმედზე უნდა ვიყოთ და მოკავშირეები, მეგობრები ჩვენს მეზობლად ვეძებოთ. დიახ, პირველ რიგში, მეზობლებთან უნდა გვქონდეს მუდმივად კარგი, სტაბილური ურთიერთობები და მხოლოდ ამის შემდეგ ზღვების, ოკეანეების გაღმა მდებარე სამხედრო ალიანსთან, რომელიც უკვე თითქმის ორი ათეული წელია, გვატყუებს, ნატო-ში მიგიღებთო. ეს დამოკიდებულება უნდა დასრულდეს. ჩვენ ორიენტირი არ უნდა ავიღოთ არც ნატო-ზე, არც „ოდეკაბეზე“ და არც სხვა რომელიმე გაერთიანებაზე. ჩვენ საქართველოზე და კავკასიაში სტაბილურობაზე უნდა ვიყოთ ორიენტირებული, რადგან საქართველოში სტაბილურობა, სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობისა და განვითარების გარანტიაა.

საქართველოსადმი დამოკიდებულება ცხადყოფს, რომ ჩვენს პრიორიტეტებს უნდა გადავხედოთ. ევროპის კონტინენტზე მდებარე ნეიტრალური და ყოფილი ნეიტრალური სახელმწიფოების გამოცდილებას უნდა გადავხედოთ, ყურადღებით გავეცნოთ, რა მოუტანა მათ ამ საერთაშორისო ნეიტრალურმა სტატუსმა. კონსტიტუციაში ევროინტეგრაციის სვლისკენ ჩაწერა შეცდომა იყო. იგივე ჩანაწერი გაკეთდა უკრაინის მიმართაც, რითაც ალტერნატიული გზის არჩევის საშუალება მოგვისპეს და ამ ჩარჩოში მოგვაქციეს. უკრაინა ომში გააბეს, ჩვენ კი — პოლიტიკურ პრესინგს, საერთაშორისო ბულინგს გვიწყობენ. ამიტომ ჩვენს სასიცოცხლო მიზანს, აუცილებლობას წარმოადგენს, ამ გზაზე სიარულისთვის მჭიდრო კავშირი ვიქონიოთ როგორც საქართველოს, ისე ევროპის ინტელექტუალურ პოლიტიკურ წრეებთან.

გელა ნიკოლაიშვილი: ჩვენი საზოგადოებრივი მოძრაობის მიზანია, ის ანტიდემოკრატიული, ანტიევროპული გარემო, რომელიც აქ შეიქმნა და რომელსაც სამწუხაროდ, პროევროპულს ეძახიან, შეიცვალოს. რასაც აქ დემოკრატიულს, ევროპულს ეძახიან, რეალურად, ანტიდემოკრატიული, ანტიევროპულია. თუ ევროკავშირზე, ნატო-ზე ან ლგბტ თემაზე რაიმე კრიტიკული შენიშვნა გამოთქვი, მაშინვე რუსეთუმეს იარლიყს მოგაკერებენ. ეს უკვე ანტიდემოკრატიული მიდგომაა. საქართველოში რეალური დემოკრატიული ფასეულობები უნდა დამკვიდრდეს. მჯერა, ჩვენს საინიციატივო ჯგუფს ბევრი ადამიანი შემოუერთდება. „შერატონ მეტეხი პალასში“ გამართულ კონფერენციაზე სრულიად უცნობი ადამიანები მოვიდნენ და გვერდში დგომის მზაობა განაცხადეს. რამდენად ფართო, წარმომადგენლობითი გახდება ჩვენი მოძრაობა, ამის მიხედვით, ალბათ, სამოსაღმოფხვრისკენ იქნება მიმართული. ჩვენ რეალურად უნდა განვიხილოთ, რა შედეგების მომტანი იქნება ჩვენთვის ამა თუ იმ გაერთიანებებში გაწევრიანება. თუ აღმოჩნდა, რომ ჩვენი ინტეგრაცია ევროპასთან ქვეყანას საფრთხისგან დაიცავს, მაშინ ის ჩვენთვის მისაღები იქნება. მაგრამ თუ ამას დამანგრეველი ეფექტი ექნება ისე, როგორც ეს უკრაინის შემთხვევაში ხდება — მას მთელი მსოფლიო ეხმარება, მაგრამ უკრაინა ინგრევა და უკრაინელი ხალხი იხოცება, ჩვენ შესაბამისი რეაგირება უნდა მოვახდინოთ. ანუ, რაციონალური პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ. დიახ, რაც ქვეყნისთვის მომგებიანი იქნება, ის უნდა ვაკეთოთ და არა ის, რაც არ გვინდა — რიგი პარტიების მიერ სადღეგრძელოებად მოწოდებულ სიტყვებს ბრმად არ უნდა ავყვეთ.

ვატო შაქარაშვილი: პირველ რიგში, ჩვენი მთავარი ამოცანა არსებული კლიშეების და ტაბუების გარღვევაა. ნებისმიერ კავშირში გაწევრიანება ქვეყნისთვის მხოლოდ საშუალებაა და არა თვითმიზანი. ჩვენ ვხედავთ, რომ დღეს ევროკავშირი როგორც ეკონომიკურ, პოლიტიკურ, ისე ფასეულობათა კრიზისშია. ამიტომ მიგვაჩნია, რომ სანამ ვითარება ამგვარია და უახლოეს პერიოდში მისი სასიკეთოდ შეცვლის პერსპექტივა არ ჩანს, იქამდე მინიმუმ, უნდა ვიმსჯელოთ, რამდენად არის ეს საქართველოს ეროვნული ინტერესებისთვის სასარგებლო. ზოგადად, რა არის ქვეყნის ეროვნული ინტერესები? — მშვიდობის შენარჩუნება, ეკონომიკური განვითარება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. ახლა გავაანალიზოთ, ნატო-სა და ევროკავშირში ინტეგრაცია ამ სამ უმთავრეს ამოცანას, მიზანს რამდენად ემსახურება. თუ ამ გაერთიანებებში ინტეგრაცია ჩვენს უმთავრეს მიზნებს ვერ ემსახურება, მაშინ ეს არ შეიძლება იყოს დოგმა, ან კონსტიტუციაში შესატანი ჩანაწერი. მთავარი ამოცანა ამ ეტაპზე დისკუსიის ფანჯრის გახსნაა.

დამფუძნებლებმა ერთმანეთი საკუთარი პოზიციებიდან გამომდინარე ვიპოვეთ და ამ იდეის გარშემო გავერთიანდით. დავაკვირდებით, რა რეაქციებს გამოიწვევს ჩვენი მოსაზრებები საზოგადოებაში. ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ეს თემა საჯარო გავხადოთ. ღიად ვამბობთ, რომ შეიძლება საზოგადოებრივი მოძრაობა პოლიტიკურ პარტიად გარდაიქმნას. თუმცა, არავითარ შემთხვევაში არ მოხდება ისე, რომ ყველანი პოლიტიკაში გადავიდეთ. დამფუძნებლებში არიან ადამიანები, რომელთაც პლიტიკური მიზნები არ ამოძრავებთ. მათ არც პარლამენტში ყოფნა სურთ და არც აღმასრულებელ ხელისუფლებაში. ისინი საზოგადოებრივ მოძრაობაში დარჩებიან და ზურგს გაუმაგრებენ პარტიას, რომელიც ამ მოძრაობიდან დაიბადება.

ლევან ნიკოლეიშვილი: საზოგადოებრივი მოძრაობა „ერთიანი ნეიტრალური საქართველოსთვის“ დაფუძნების მთავარი ამოცანა, ვფიქრობ, ის არის, რომ საზოგადოება შეცდომაში არ შევიდეს და ილუზიები არ ჰქონდეს იმასთან დაკავშირებით, რაც წლების განმავლობაში ფუჭი დაპირებებით თავს მოგვახვიეს ნატო-სა თუ ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. როგორც იცით, ასეთმა ცრუ, თავსმოხვეულმა დაპირებებმა რამდენიმე ქვეყანა სერიოზული რისკების ქვეშ დააყენა. ამის ნათელი მაგალითი უკრაინაა, სადაც ტერიტორიების, დაახლოებით, 20% აბსოლუტურად განადგურებულია, უამრავი ადამიანი დაიღუპა.

ავიღოთ თუნდაც ნატო-ს, ევროკავშირის მიდგომა საქართველოს მიმართ. ჩვენ არაერთი რეფორმა განვახორციელეთ. ბევრი პარამეტრით ვუსწრებთ არათუ კანდიდატ, არამედ ევროკავშირის არაერთ წევრ ქვეყანასაც. მაგრამ მაინც უცნაურ დაპირებებს ვიღებთ. მეტიც, ზოგი ქვეყანა მბრძანებლური ტონით გველაპარაკება: გაგიუქმებთ კანდიდატის სტატუსს, ვიზალიბერალიზაციასო.

ჩვენი მთავარი ამოცანა არის ქართული საზოგადოების ეროვნული ინტერესების, მშვიდობისა და სტაბილურობის დაცვა, რაც ქვეყნის განვითარების შემდგომ ძალიან კარგ შედეგებს მოგვცემს.

თამარ შველიძე

დროა, დასავლეთთან ხისტად საუბარი დავიწყოთ

გვესაუბრება არსამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:

როგორც იცით, ახალი საზოგადოებრივი მოძრაობა — „ერთიანი ნეიტრალური საქართველოსთვის“ დავაფუძნეთ. საქართველომ ნეიტრალიტეტი უნდა მოითხოვოს. ამის მთავარი მიზეზი დასავლეთის მხრიდან ბატონყმური დამოკიდებულებაა. მთელი 33 წელია, მათ რეკომენდაციებს, ულტიმატუმებს ვასრულებთ, კანონმდებლობა ევროსტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში მოვიყვანეთ. ერთადერთი ჩავარდნა დემოკრატიის კუთხით სააკაშვილის რეჟიმის დროს გვქონდა. თუმცა მაშინ, როცა დემოკრატიის განვითარების ნაცვლად, ქვეყანაში ფაშიზმი მძვინვარებდა, დასავლეთი დუმდა. მეტიც, მან ქართული ფაშიზმის შემოქმედს „დემოკრატიის შუქურა“ უწოდა. საზოგადოება ევროკავშირით პირველად სწორედ სააკაშვილის რეჟიმის დროს განიხიბლა, რადგან ციხეებში გაუპატიურებას, სასამართლოს დამორჩილებას, მთელი ძალაუფლების ერთ ხელში მოქცევას, მან ავტორიტარული მმართველობის ნაცვლად, დემოკრატია უწოდა. ქართველი ხალხისთვის ცხადი გახდა, რომ დასავლეთი მოვლენებს რეალურად კი არ აფასებდა, არამედ მის მორჩილ ხელისუფლებას უჭერდა მხარს. დიახ, ხალხმა გააცნობიერა, რომ ეს ის ევროპა არ იყო, რისთვისაც ჩვენ, საბჭოთა დისიდენტები ვიბრძოდით.

ამის პარალელურად, ჩვენ რუსეთს ევროპისკენ ლტოლვით ვაღიზიანებთ. ამასთან, თავს საფრთხეში მათი და არა ჩვენი ინტერესების გამო ვიგდებთ. მადლობა ღმერთს, საქართველოს ხელისუფლება ქართულ და არა სხვა ქვეყნის ინტერესებზე ორიენტირდა. სწორედ ამას მოჰყვა ეს დაპირისპირება, ბულინგი, მუქარა. ის რეზოლუციები, რაც ევროპაში ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ იწერება, ევროპულ ფასეულობებს არ ეფუძნება. ეს ყველაფერი ბლეფია — როცა სჭირდებათ, დემოკრატები არიან, როცა სჭირდებათ — ნაცების ფაშისტურ რეჟიმს ამართლებენ. ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმაზე, რომ ტერიტორიული მთლიანობა დარღვეული გვაქვს და როგორ შევძლოთ ქვეყნის გამთლიანება. როდესაც ხარს — რუსეთს წითელ ნაჭერს უფრიალებ და ეუბნები, ნატო-სა და ევროკავშირში შევდივარო, ხომ შეიძლება მან თავის ბერკეტები გამოიყენოს, უფრო მეტი ტერიტორიები წაგვართვას და მეტად დაგვაზიანოს. ჩვენ უნდა ვიფიქროთ არა რომელიმე მხარესთან ყოფნაზე, არამედ ნეიტრალიტეტზე. უკრაინის მაგალითიდან დასკვნები უნდა გამოვიტანოთ. არც ერთი მხარე არ უნდა გავაღიზიანოთ და არც — მეორე. არც ის უნდა ვუთხრათ, შენი მოწინააღმდეგის მხარეს ვარო, რადგან საფრთხე ორივე შემთხვევაში გველის. ამიტომ ორივეს უნდა ვუთხრათ: არცერთის მხარეს არ ვართ, მოგვეცით საშუალება, ჩვენთვის მშვიდად ვიყოთ. ეს არსებულ დაძაბულობასაც შეანელებს.

— ანუ, ნეიტრალიტეტი ტერიტორიების დაბრუნების გზად მიგაჩნიათ?

— ეს ერთადერთი მექანიზმია. 30 წლის განმავლობაში ვერც ჟენევის ფორმატმა იმუშავა და ვერც სხვამ. აბა, იმით დავიბრუნებთ ტერიტორიებს, მავთულხლართებთან სელფებს რომ იღებენ? ამ ქმედებამ ერთი ლტოლვილი მაინც დააბრუნა საკუთარ სახლში?! რაც დრო გადის, ჩვენს ტერიტორიებს, მოსახლეობას, მეტად ვშორდებით, უფრო ვუცხოვდებით. ევროკავშირი რომ გვეუბნება, 2030 წელს მიგიღებთო, როგორ გვიპირებს მიღებას — ამ ტერიტორიებთან ერთად, თუ მათ გარეშე?! ეს ხომ უმნიშვნელოვანესია. ევროკავშირში შესვლას ამ ტერიტორიების გარეშე თუ დავთანხმდებით, ეს ნიშნავს, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე უარს საკუთარი ნებით ვამბობთ და რუსებს ვჩუქნით. ხელისუფლებას სხვა რა პოლიტიკური ნაბიჯი რჩება, თუ არა ნეიტრალიტეტი.

— ქალბატონო ნანა, ნჯო-ები რეესტრში დარეგისტრირებას კვლავ არ აპირებენ და გამჭვირვალობის კანონს დაუმორჩილებლობას უცხადებენ.

— სამწუხაროდ, არასამთავრობო ორგანიზაციები, ინდივიდები, რომლებიც წესით, კანონის უზენაესობის დამკვიდრებას უნდა ემსახურებოდნენ, კანონმორჩილებას თავს ღიად არიდებენ. გამოდის, კანონის უზენაესობა მხოლოდ დანარჩენი საზოგადოებისთვის არსებობს, მდიდარმა ნჯო-ები კი თურმე კანონს არ უნდა დაემორჩილონ. გამჭვირვალობის კანონს ლუსტრაციის კანონს ვუწოდებდი, რადგან მან უამრავი სიმახინჯე გამოავლინა, რაც ჩანერგილ ნჯოსექტორში დაგუბდა. კანონმა ზედაპირზე ამოატივტივა, რომ ამ მდიდარ, დასავლეთიდან დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს გამჭვირვალობის ეშინიათ, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მათი საქმიანობა კანონის ჩარჩოებში არ ჯდება. გამჭვირვალობის კანონის ამოქმედებით, სახელმწიფოს უჩნდება მტკიცებულება, რომ ნჯო-ები კანონს არღვევენ.

— ნჯო-ების დაფინანსების გამჭვირვალობა მათ რა საფრთხეებს უქმნის?

— ისინი იძულებულნი გახდებიან, ღიად თქვან, თუ რისთვის იღებენ ამ ფულს. სახეზეა პირდაპირი ანტისახელმწიფოებრივი ქმედებები — ისინი, წესით, სულ სხვა მიზნით ფინანსდებიან, რეალურად კი, რადიკალურად განსხვავებულ მიზნებს ემსახურებიან. მათ დონორი ფონდებიდანაც მწვანე შუქი აქვთ ანთებული, რათა ის უკანონობა ჩაიდინონ, რასაც თვალს ვადევნებთ. ვგულისხმობ იმას, რომ მდიდარი ნჯო-ები პოლიტიკაში არიან ჩართულნი, არადა, კანონით მათ პოლიტიკური საქმიანობა ეკრძალებათ. დიახ, თავიან-ფეხებიანად პოლიტიკაში არიან გადაშვებული: მონაწილეობენ აქციებში, ითხოვენ ხელისუფლების დამხობას, ჩრდილოვანი კაბინეტებისა და მთავრობის შექმნას, რაც ნჯო-ს საქმიანობასთან შესაბამისობაში არ მოდის.

— როგორც ვიცი, პოლიტიკურ სუბიექტებს უცხოური ფულის მიღება ეკრძალებათ...

— დიახ, ასეა. ამიტომ ისინი ყალბ არასამთავრობო ორგანიზაციებს აარსებენ და მერე დონორების ფულს პოლიტიკური საქმიანობისთვის იყენებენ. ამიტომაც არ სურთ დეკლარაციის შევსება — ურჩევნიათ, ჯარიმები გადაიხადონ, ვიდრე თქვან, რისთვის იღებენ და რაში ხარჯავენ ფულს. მაგალითად, „ისფედის“ ყოფილი ხელმძღვანელი ევროპის საარჩევნო სადამკვირვებლო ორგანიზაციაში დაასაქმეს. იგი სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში არჩევნებს უწევს მონიტორინგს. არადა, მისმა ორგანიზაციამ პარალელური დათვლის შედეგები გააყალბა. ოპოზიციისთვის უცხოეთიდან ფულის მიღება ნორმად იქცა. ავიღოთ თუნდაც ელენე ხოშტარია, რომელსაც აქვს პარტია „დროა“ და, ამავდროულად, მოძრაობა „დროა“, რომელიც „ევროპის დემოკრატიის ფონდიდან“ ფინანსდება. გიორგი ვაშაძე „ინოვაციებისა და განვითარების ფონდის დამფუძნებელია“. „გირჩი — მეტი თავისუფლება“„ ინდივიდუალური თავისუფლების ინსტიტუტის“ ღონისძიებებში იღებს მონაწილეობას. რესპუბლიკელებს აქვთ „რესპუბლიკური ინსტიტუტი“, ხიდაშელი არაღიარებული ტაივანიდან ფინანსდება. თეონა აქუბარდიას აქვს „სტრატეგიული ანალიზის ცენტრი“, რომელიც ასევე უცხოეთიდან ფინანსდება. ამ სიის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

— უცხოეთიდან ფულის შემოსვლა რამდენად არის არჩევნებში ჩარევა?

— სხვა ქვეყნის პოლიტიკაში ჩარევა საერთაშორისო დონეზე აკრძალულია. კი ბატონო, ნჯო-ების დაფინანსება კანონით განსაზღვრულია, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამ ფულით არალეგალური საქმიანობა აწარმოონ. აღნიშნული დაფინანსება რას უნდა მოხმარდეს, ესეც კანონით არის განსაზღვრული. საქმეც ესაა, ნჯო-ები ამ თანხებს მიზნობრივად კი არ ხარჯავენ, არამედ გადატრიალების, დესტაბილიზაციის მოწყობაში, რაც, წესით, კანონით აკრძალულია. სამოქალაქო საზოგადოებას პოლიტიკაში ჩართვის უფლება არ აქვს. როდემდე გააგრძელებენ კანონის მიმართ დაუმორჩილებლობას? — პასუხი მაინც მოეთხოვებათ.

— ევროკავშირმა მოლაპარაკებების პროცესი უვადოდ შეგვიჩერა...

— ეს არის ქართველ ხალხზე ზეწოლა, რათა ხელისუფლების წინააღმდეგ ქუჩაში გამოიყვანონ. რეალურად, ქვეყანაში ქუჩის აქციებსა და სახელმწიფო გადატრიალებას პროვოცირებენ.

— აშშ-მა გამოგვიცხადა, რომ ის ფინანსური დახმარება, რაც ყოველწლიურად ქვეყნის განვითარებას ხმარდებოდა, ახლა სამოქალაქო საზოგადოებას და მედიას მოხმარდება...

— დიახ, ამით თავიანთ აგენტურას აძლიერებენ, რათა გადატრიალების გზით მათი მორჩილი ხელისუფლება მოიყვანონ. ჩვენ მათ ქმედებებს დიპლომატიურ ენაზე ვპასუხობთ და როგორც ჩანს, თავში აუვარდათ. ჩვენი პასუხი ხისტი უნდა იყოს. სათქმელი პირდაპირ უნდა ითქვას. მათ ქართველი ხალხი არ აინტერესებთ.

— ამერიკამ მეგობარი აქტი განიხილა. კრამერმა აღნიშნა, ფინანსური სანქციები აუცილებლად იქნებაო...

— ეს ზეწოლა მანამ გაგრძელდება, სანამ საქართველო სწორ პოლიტიკურ კურსს არ აირჩევს. ევროკავშირის, ნატო-ს ძახილმა რაც მოუტანა უკრაინას, კარგად ვხედავთ. 45-მილიონიანი ქვეყანა რა დღეში ჩააგდეს და სამ მილლიონ მოსახლეს რაღაც გვიზამენ. უკრაინას 3 მილიონი ადამიანი მარტო გარდაცვლილი ჰყავს და ორი იმდენი ლტოლვილი, ხეიბარი. ჩვენ რას მოგვიტანს ეს პოლიტიკა?!

— გერმანიის ბუნდესტაგის წარმომადგენლები საქართველოში იმყოფებოდნენ. მათ აღნიშნეს, გამჭვირვალობისა და ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ მიმართული კანონი ევროკავშირის ფასეულობებს ეწინააღმდეგებაო.

— დიახ, ჩვენი დასჯის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ლგბტ პროპაგანდას ვუპირისპირდებით. თუ ევროკავშირთან გაერთიანება ჩემს სამშობლოზე, ფასეულობებზე, ტრადიციებზე უარის თქმას მავალდებულებს, მაშინ რაში მჭირდება მასში გაწევრიანება?! ევროკავშირი იქნება თუ სხვა, იმისთვის მინდა, რომ ჩემი თვითმყოფადობა, იდენტობა შევინარჩუნო. ერთსაც თუ მართმევ და მეორესაც, ასეთი კავშირი რად მინდა?!



თამარ შველიძე

დღეს ქართული ჟურნალისტიკა პოლიტიკური მეძავის ფუნქციას ასრულებს!

ქართულ მედიაში არსებულ პრობლემებსა და ჟურნალისტიკის სტანდარტებზე გვესაუბრება ჟურნალისტი, გადაცემა „პოლიტიკური თერმომეტრის“ წამყვანი ზაურ ნაჭყებია:

- ბატონო ზაურ, ქართულ მედიასივრცეში პოლიტიკური თოქ-შოუების ბუმია. თქვენი გადაცემა რით არის მათგან გამორჩეული?

- ვერ ვიტყვი, გამორჩეულია თუ არა, მაგრამ ვცდილობ, გადაცემა იყოს ობიექტური და არ ემსახურებოდეს არც ერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს! დაახლოებით 4 წლის წინ, „პოლიტიკური თერმომეტრის“ დაარსების მიზეზიც სწორედ ეს იყო. დღეს ძალიან ბევრი პოლიტიკური თოქშოუა, თუმცა, ისინი პარტიული ინტერესებისგან თავისუფალი არ არიან, რის გამოც რეალობის ობიექტურად წარმოჩენას ვერ ახერხებენ. ამიტომაც მინდა, მადლიერება გამოვხატო ტელეკომპანია „ქართულის“ ხელმძღვანელობის მიმართ, რომელიც მაძლევს საშუალებას, ვთქვა ის, რასაც ვფიქრობ, მოვიწვიო ის, ვინც სახელმწიფოებრივად აზროვნებს, თვითონ განვსაზღვრო სარედაქციო პოლიტიკა და შევარჩიო რესპონდენტები. არ მახსენდება, ამ 4 წლის განმავლობაში, ვინმე ჩარეულიყოს, თითი დაექნიოს ან გადაკრული სიტყვა ეთქვას იმის გამო, რომ ის რესპონდენტი არ მოვიწვიე, რომელიც მას „აწყობს“, რომ არასწორად მიმყავს გადაცემა და ა. შ. ჟურნალისტისთვის მთავარია შემოქმედებითი თავისუფლება და ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, როდესაც ტელეკომპანიას ემსახურები.

მოგეხსენებათ, რამდენიმე გაზეთის დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ვიყავი, ძალიან მიყვარს, ზოგადად, ბეჭდური გამოცემა და გული მწყდება, რომ დღეს ბეჭდური მედია მილევად რეჟიმშია. ეს არ არის კარგი, რადგან, ისევე, როგორც წიგნს, მასაც თავისი ხიბლი აქვს. გვახსოვს, 90-იან წლებში გაზეთების ბუმი, დღეისათვის კი სულ რამდენიმე გაზეთი და ჟურნალი შემორჩა, რომლებიც რაღაც „მანქანებით“ ინარჩუნებენ გარკვეულ ტირაჟს, დანარჩენებმა კი დროს ვერ გაუძლეს - ბეჭდური მედია ციფრულმა მედიამ ჩაყლაპა, რასაც საზოგადოებამაც შეუწყო ხელი.

- როგორ აფასებთ, ზოგადად, ქართულ მედიაში არსებულ მდგომარეობას?

- დავიწყოთ იქიდან, რა მდგომარეობაა დღეს საქართველოში ტელემედიის მიმართულებით, პირველ რიგში, პოლიტიკურ თოქშოუებს ვგულისხმობ. ტელევიზიების უმეტესობა, ე. წ. მეინსტრიმულ მედიას წარმოადგენს, რომლისთვისაც პრიორიტეტია სიძულვილის ენა და საზოგადოების დეზინფორმირება. ისინი საზოგადოების ზომბირებას ემსახურებიან. ცდილობენ, დააბნიონ მოსახლეობა და ჩააგონონ ის, რაც ბუნებაში არ არსებობს! რადიკალიზმით არამხოლოდ ე. წ. ოპოზიციური მედია გამოირჩევა, 11 წლის განმავლობაში, სამთავრობო მედიაც, ფაქტობრივად, ლიბერალურ პროპაგანდას ემსახურებოდა. მადლობა ღმერთს, ბოლო დროს სიტუაცია უმნიშვნელოდ შეიცვალა.

დღეს ჟურნალისტური ეთიკის დაცვაზე, სამწუხაროდ, არავინ ფიქრობს. მოგეხსენებათ, არსებობს კანონი პრესისა და მაუწყებლობის შესახებ, თუმცა, ფაქტობრივად, არ მუშაობს.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, რომელიც, საწუხაროდ, საზოგადოებრივი სულაც არ არის და, ფაქტობრივად, ლიბერალური იდეოლოგიის გამტარებელია. არ მესმის, რისთვის ვაფინანსებთ ტელევიზიას, რომელიც საზოგადოების ინტერესებს არ ემსახურება?! შემიძლია ვთქვა, რომ მეინსტრიმულ მედიებს შორის არ დარჩა არც ერთი მედიასაშუალება, რომელიც ჯანსაღ პროპაგანდას ეწევა. ერთი „პოს-ტივი“ ცდილობს, რაღაც დააბალანსოს. რაც შეეხება ტელეკომპანია „იმედს“, ზოგჯერ ის უსწრებს კიდევაც ოპოზიციურ მედიას თავისი ლიბერალური პოლიტიკით. შესამჩნევია, თუ ოპოზიციური მედია მხოლოდ თავიანთ მომხრეებს იწვევს ტელეეთერში, სამთავრობო მედია ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილ ადამიანებს, ფაქტობრივად, არ აძლევს აზრის გამოთქმის საშუალებას. იშვიათად მახსენდება ბოლო წლებშიც კი, ტელეკომპანია „იმედზე“ ისეთი თოქშოუ, სადაც განსხვავებული აზრის მქონე სტუმრები ჰყავდათ მიწვეული. არადა, ამ შემთხვევაში მთავარია სახელმწიფოს ინტერესები და არა კონკრეტული ადამიანის პოლიტიკური მრწამსი, რადგან სწორედ კამათში იკვეთება საღი აზრი და იბადება ჭეშმარიტება. სამწუხაროა, რომ დღეს კონკრეტული მედიასაშუალების რეიტინგს ობიექტურობა კი არა, ფინანსები და პარტიული ინტერესები განსაზღვრავს!

- მაინც, ვინ ამკვიდრებს დღეს სტანდარტებს ქართულ ჟურნალისტიკაში?

- უკვე 30 წელზე მეტია, ქართული ჟურნალისტიკის სტანდარტები, ძირითადად, ლიბერალურ დოქტრინაზეა აგებული. 1980-იან წლებში, როდესაც სახელმწიფო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე ვსწავლობდი, სხვა სტანდარტებით გვასწავლიდნენ. იმ დროს ყურადღება ეთმობოდა ჟურნალისტურ ეთიკასაც, რაც დღეს საერთოდ იგნორირებულია. რაიონულ გაზეთებშიც მომიწია მუშაობა სტუდენტობის პერიოდში. მართალია, მაშინდელი ე. წ. კომუნისტური მედია კომუნისტურ იდეალებს ემსახურებოდა, ბევრი რამ ფორმალური და მიუღებელიც იყო ჩემთვის, მაგრამ ჟურნალისტურ ეთიკას ყოველთვის ვიცავდით. დღეს კი ყველაფერს კადრულობენ და ადამიანის შეურაცხყოფა კრიტიკა ჰგონიათ! მაშინ თავისუფალი მედია არ არსებობდა, თუმცა, დღეს რომ ვაკვირდები, მედიის აბსოლუტურად გათავისუფლებამ ცენზურისგან, ხელი კი არ შეუწყო ჟურნალისტური ოსტატობის ამაღლებას და ჟურნალისტიკის განვითარებას, არამედ, პირიქით, დააკნინა ჟურნალისტიკა, როგორც პროფესია.

- ძველი თაობის ჟურნალისტები ერთხმად თანხმდებიან იმაზე, რომ ქართული მედია ყველაზე მეტად თავისუფალი და დამოუკიდებელი 90-იან წლებში იყო, როდესაც ედუარდ შევარდნაძე დაბრუნდა საქართველოში...

- გეთანხმებით. სხვათა შორის, შევარდნაძის დამხობასა და ფერადი რევოლუციის მოწყობაში სწორედ მედიამ ითამაშა გადამწყვეტი როლი და „რუსთავი-2“ ამაყობდა იმით, რომ ის იყო რევოლუციური ტელევიზია, რომ მან მოიყვანა ახალი ხელისუფლება. თუმცა, მაშინ ძალიან უჭირდა მედიას ფინანსურად და სწორედ იმ ტელეკომპანიამ მოუღო ბოლო ედუარდ შევარდნაძეს, რომელიც კარგად ფინანსდებოდა.

ვერ ვიტყვი, რომ დღეს მედია შებოჭილია და რამით იზღუდება. სხვათა შორის, დღევანდელი ხელისუფლების დამსახურებაა, რომ მართლა თავისუფალი მედია გვაქვს, მაგრამ ჩვენ როგორ ვიყენებთ ამ თავისუფლებას, ეს მეორე საკითხია.

ვისურვებდი, მეტი მხარდაჭერა ჰქონდეთ როგორც ხელისუფლების, ასევე საზოგადოების მხრიდან იმ მედიასაშუალებებს, რომლებიც ამ მეინსტრიმული მედიის გვერდით არსებობენ, რომლებიც სულს ღაფავენ, მაგრამ მაინც განაგრძობენ საქმიანობას...

- ჟურნალისტურ ეთიკას სადღაც ეწინააღმდეგება ის მოარული გამონათქვამი, რასაც ახალბედა ჟურნალისტებს ასწავლიან, რომ „თუ კარიდან გაგაგდებენ, ინფორმაციის მოსაპოვებლად, ფანჯრიდან უნდა შეხვიდე“. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

- ჩემთვის ეს არის ხატოვნად ნათქვამი, რომელიც მთლად პირდაპირაც არ უნდა გავიგოთ. თუმცა, როცა რესპონდენტი თავს არიდებს საუბარს, შენთვის კი ინფორმაციის მიღება აუცილებელია, ყველაფერი უნდა გააკეთო მის მოსაპოვებლად, თუკი ეს საზოგადოების ინტერესს წარმოადგენს. რესპონდენტმა კი უნდა იცოდეს, რომ სჯობს, ჟურნალისტს ყველა კითხვაზე გასცეს პასუხი, რაოდენ პროვოკაციულადაც უნდა მიაჩნდეს ის, რადგან ფაქტისა თუ მოვლენის ცალმხრივად გაშუქება მეტად უარყოფითად იმოქმედებს მისსავე იმიჯზე.

საქმე ის არის, რომ არ არსებობს მექანიზმი, რომელიც ჟურნალისტების საქმიანობას დაარეგულირებს და ამიტომაც, მეძავობად აქციეს ჟურნალისტიკა. არადა, ჟურნაალისტიკას სულ სხვა მიზანი და დანიშნულება გააჩნია. აქედან გამომდინარე, ყველა ყველაფრის უფლებას აძლევს თავს. აქვე ხაზგასასმელია ჟურნალისტის ლექსიკაც, თუ რა ლექსიკით აწვდის ის ინფორმაციას საზოგადოებას, რაც საერთოდ ამაზრზენია! შეიძლება ვიღაც კი არის გალანძღვის ღირსი, მაგრამ საზოგადოებას უნდა გაუფრთხილდე და საკუთარ თავს უნდა სცე პატივი! ადრე უზარმაზარი ტირაჟით გამოდიოდა გაზეთები, სადაც უდიდესი ყურადღება ექცეოდა ჟურნალისტურ ლექსიკას და ენის ნორმების დაცვას. მსგავს საკითხებს ენის პალატა არეგულირებდა, რომელიც შემდგომ საკაშვილმა დაშალა, როგორც სხვა არაერთი ინსტიტუცია, რადგან მის ინტერესებში ქართული ენის სიწმინდის დაცვა არ შედიოდა. მართალია, დღესაც არსებობს სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, ჰყავს თავმჯდომარე, რამდენიმე თანამშრომელიც, მაგრამ ის არაფერს აკეთებს ქართული ენის სიწმინდის დასაცავად!

- მიგაჩნიათ თუ არა, რომ ჟურნალისტიკა არის მეოთხე ხელისუფლება, როგორც მას წლების წინათ უწოდებდნენ?

- მახსოვს, 1995 წელს, რედაქტორების შეკრებაზე კითხვარი შევავსეთ, სადაც იყო შეკითხვა, თუ როგორ უნდა მოიქცეს მეოთხე ხელისუფლება, როცა პირველ სამს უჭირს?! მე მაშინ სიტყვასიტყვით დავწერე: როცა წინა სამს უჭირს, მაშინ ხელისუფლება მეოთხემ უნდა გადაიბაროს! შემიძლია დაბეჯითებით განვაცხადო, იმ პერიოდში ქართული ჟურნალისტიკა სათანადო დონეზე იყო - ანგარიშს უწევდნენ, პატივს სცემდნენ მას და ისიც საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმეს აკეთებდა. დღეს არამხოლოდ ჟურნალისტების, ნებისმიერი პროფესიის წარმომადგენლის მიმართ დაიკარგა პატივისცემა. კონკრეტულ შემთხვევაში კი ზონდერ ჟურნალისტების ქაჯობა და მავნებლობა არის მიზეზი, რაც პროფესიონალ და თავის საქმეზე შეყვარებულ ჟურნალისტებსაც აზარალებს. უდავოა ისიც, რომ ლომის წილი მიუძღვის ქართულ მედიას საზოგადოების დაზომბირებაში. სწორედ ეს არის მიზეზი, რომ დღეს ჟურნალისტების მიმართ საზოგადოების პატივისცემა დაიკარგა. ანუ, მარტივად თუ ვიტყვით, როგორც იქცევა მედია, საზოგადოებაც ისეთივე პასუხს უბრუნებს!

მოგეხსენებათ, ადრე არსებობდა ჟურნალისტთა ფედერაცია, მწერალთა კავშირი, არქიტექტორთა კავშირი და ასე შემდეგ, რომლებსაც სახელმწიფო უწევდა მეურვეობას. დღეს ისინი ფორმალურად არსებობენ და ფაქტობრივად ვერ ასრულებენ იმ ფუნქციას, რაც მათ ეკისრებათ. სახელმწიფომ კი მეურვეობაზე უარი თქვა და ყველაფერზე ხელები დაიბანა. არადა, იმ პერიოდიდან თუ რაიმე იყო მიუღებელი, თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, ამის სრულყოფაც ხომ შესაძლებელი იქნებოდა?! ხაზგასმით ვიტყვი, რომ თითქმის ბოლო 20 წელი ფორმალურად არსებობდა საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია, ახლა კი, მადლობა ღმერთს, ახალ ხელმძღვანელობასთან ერთად შეუდგა მუშაობას და იმედია, იმ ჩანაფიქრსა და პროექტებს განახორციელებენ, რაც მიზნად აქვთ დასახული. იქნებ, ამან მაინც გამოაცოცხლოს ქართული მედია და ის პასუხისმებლობაც დაუბრუნოს, რაც მას ოდითგან ჰქონდა.

ნონა ქარქაშაძე

საქართველო უცხოურ დახმარებაზე ნაკლებად უნდა იყოს დამოკიდებული

გვესაუბრება ეკონომისტი სოსო არჩვაძე:

— ბატონო სოსო, აშშ და ევროპა საქართველოსთან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ურთიერთობებს აჩერებს, მათ შორის, გაგვიყინეს სოლიდური თანხები, რაც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას უნდა მოხმარებოდა...

— როცა გაყინულ ფინანსებზე ვსაუბრობთ, რა თქმა უნდა, ეს ეკონომიკაზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენს, თუმცა მთლიანობაში წმინდა პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. როგორც ეკონომისტი, შევეცდები, აღნიშნულ მოვლენას ცოტა სხვა კუთხით შევხედო. ბოლო 30 წლის განმავლობაში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, როცა სახელმწიფო ინსტიტუტები იქმნებოდა და ინსტიტუციონალური აღმშენებლობა მიმდინარეობდა, ბუნებრივია, ჩვენი ქვეყანა ორგანიზაციული, ტექნიკური, სწავლების კუთხით დახმარებას საჭიროებდა. შედეგად, გაგვიმყარდა რწმენა, რომ მუდმივად რეციპიენტის — მიმღების სტატუსის რეჟიმში უნდა ვიმყოფებოდეთ. ერთი მხრივ, გვეამაყება, რომ განვვითარდით, ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვაქვს, მაღალგანვითარებული ქვეყნების სტატუსს მივუახლოვდით, თუმცა, მეორე მხრივ, ისევ უცხოეთიდან მიღებულ დახმარებებზე ვართ დამოკიდებულნი.

ეს ინფანტილური დამოკიდებულება თანდათან უნდა დაძლიოს იმ ქვეყანამ, რომელსაც პრეტენზია აქვს, სუვერენული იყოს და საშინაო თუ საგარეო პოლიტიკა დამოუკიდებლად გაატაროს. ჩვენ ნაკლებად დამოკიდებულნი უნდა ვიყოთ უცხოეთიდან მიღებულ დახმარებებზე. პირიქით, თანდათანობით უნდა გავაცნობიეროთ, რომ მზარდი ეკონომიკის სოციალური სტაბილურობის მქონე სახელმწიფოს გარკვეული ვალდებულებები აქვს არამარტო ქვეყნის შიგნით, არამედ საერთაშორისო დონეზეც. საქართველო თანდათან საერთაშორისო ასპარეზზე უნდა გამოჩნდეს როგორც დონორი სახელმწიფო, რომელიც სხვა, უფრო გაჭირვებულ ქვეყნებს დაეხმარება არა იმდენად ფინანსურად, რამდენადაც სწავლების, სიახლეების გაცვლის, მართვის ხელოვნების და სხვა კუთხით. ანუ ჩვენ მენტალური ცვლილება, კორექცია უნდა მოვახდინოთ, რათა რეციპიენტიდან დონორის სტატუსზე გადავიდეთ. ჩვენს პოტენციალს ამ კუთხით თუ შევხედავთ, მაშინ აშშ-ისა და ევროპის მხრიდან დახმარებების შემცირება არც ისე ტრაგიკულად უნდა მოგვეჩვენოს.

ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი, დაგეგმილთან შედარებით, ნახევარი მილიარდით იზრდება, იმის დასტურია, რომ ქვეყანას საკმარისი პოტენციალი აქვს, უკეთ გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა რესურსი, მისი ეფექტიანობის ამაღლება მოახდინოს და საკმაოდ სოლიდურ ეკონომიკურ ზრდას მიაღწიოს. ყურადღება მივაქციოთ ერთ მნიშვნელოვან საკითხს: ბოლო მონაცემებით, რიგი მიზეზების გამო, უცხოური დიდი ტრანზაქციები, რაც დიდწილად საინვესტიციო დატვირთვას ატარებდა, შემცირდა. მიუხედავად ამისა, საქართველოს ეკონომიკა სოლიდურად იზრდება. თანაც, ისეთი მასშტაბით, რომ ბევრ განვითარებულ ქვეყანას, ზრდის ტემპებით, საგრძნობლად გაუსწრო. ერთ სულ მოსახლეზე მატების აბსოლუტურმა მოცულობამ პოსტპანდემიურ პერიოდში მნიშვნელოვნად გადააჭარბა, მაგალითად, ევროკავშირის ისეთი მოწინავე სახელმწიფოს ანალოგიურ მაჩვენებელს, როგორიც გერმანიაა. მართალია, ევროკავშირთან ეკონომიკურ ჩამორჩენას ადგილი ისევ აქვს, რასაც ისტორიული საფუძველი უდევს, მაგრამ მისი მასშტაბები მცირდება. საუკუნის დასაწყისთან შედარებით, აშშ-სთან თუ ევროკავშირთან ეკონომიკური ჩამორჩენა, დაახლოებით, სამჯერ შემცირდა.

— მსოფლიო ბანკის, ატლანტიკური საბჭოს მონაცემებით, ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებს თერთმეტი მაჩვენებლით ვუსწრებთ, თუმცა მოლაპარაკებები უკრაინასა და მოლდოვას გაუხსნეს, ჩვენ კი უვადოდ შეგვიჩერეს...

— ამ შემთხვევაში, წმინდა ეკონომიკური ფაქტორები განმსაზღვრელი არ არის. ეს გეოპოლიტიკაა. გავიხსენოთ მექანიკის ოქროს წესი — რამდენჯერაც ვაგებთ ძალაში, იმდენჯერ ვიგებთ მანძილში და პირიქით. რაც უფრო შორს არის ესა თუ ის სახელმწიფო ევროკავშირიდან, ის მით მეტად მგრძნობიარეა ამ ქვეყნის გაწევრიანებასთან დაკავშირებით და მას მეტ სტანდარტებს, მოთხოვნებს უყენებს. საქართველო ტერიტორიულად შვეიცარიის ან ავსტრიის ადგილას რომ მდებარეობდეს, მისი გაწევრიანება შედარებით ფორმალური ხასიათის იქნებოდა. ამიტომ აქცენტი არა იმდენად სტრუქტურებზე, არამედ ფასეულობებზე უნდა გავაკეთოთ. შედეგად, ჩვენ საკმაოდ მაღალი ცხოვრების სტანდარტებიც გვექნება და ევროკავშირში გაწევრიანებას არც ასეთი ეგზისტენციალური დატვირთვა ექნება. მაგალითად, ნორვეგია არ არის ევროკავშირის წევრი, მაგრამ ცხოვრების დონით მსოფლიო ქვეყნების პირველ სამეულშია. ბოლო წლებში პირველ ადგილს იკავებს. ანუ, იმ ევროპულ ფასეულობებზე ავიღოთ ორიენტაცია, რითაც მსოფლიოს ეს ნაწილი წინ წავიდა და დანარჩენი სახელმწიფოებისთვის სამაგალითო გახდა. ეს გახლავთ კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები, სამეწარმეო მოთხოვნები, რითაც ევროპის სამოქალაქო საზოგადოება ვითარდება. ამ პრინციპების გათვალისწინებით, საქართველო უფრო მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპის შენარჩუნებას და ეკონომიკის განვითარებას შეძლებს.

— ოპონენტების მხრიდან ხშირად ისმის, რომ ვაჭრობის კუთხით რუსეთზე ვართ დამოკიდებულნი. ფრენების აღდგენის გამო კი დასავლეთის რისხვა დავიმსახურეთ. მიუხედავად იმისა, რომ ლიეტუვას რუსეთთან საქონელბრუნვა მეტი აქვს, ვიდრე ჩვენ, მას არ საყვედურობენ და ჩვენს თვალში ბეწვსაც კი ხედავენ...

— ამ ყველაფერზე იოსებ გრიშაშვილის ერთი ლექსი მახსენდება, სადაც ბაბუა და შვილიშვილი მოგზაურობენ და იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანი ზის სახედარზე, სოფლის მცხოვრებლები შენიშვნას აძლევენ. ბაბუამ და შვილიშვილმა მათი გული ვერ მოიგეს. საქართველო თავისი სახელმწიფოებრივი სტრატეგიული ინტერესებიდან უნდა ამოვიდეს. კი ბატონო, ყველას უნდა მოვუსმინოთ, მაგრამ ეს საქართველოს და არა ბრიუსელის, ვაშინგტონისა თუ მოსკოვის ინტერესებიდან უნდა გამომდინარეობდეს.

— დასავლეთი ნელ-ნელა მუქარებს გვისრულებს. საფრთხე შუა დერეფნის პროექტსაც ხომ არ ემუქრება?

— შუა დერეფანი ექსკლუზიურად საქართველოს ფუნქცია არ არის. ამ პროექტის განხორციელება მარტო ჩვენს ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული. ჩვენ წარმატებით ვმონაწილეობთ შრომის საერთაშორისო დანაწილებაში და ის ინფრასტრუქტურული პროექტები, რაც საქართველოში ხორციელდება — აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის მშენებლობა, რომელიც წელს სრულდება, სწორედ ამას ითვალისწინებს — ის არამარტო საქართველოს შიდა საჭიროებისთვისაა, არამედ საერთაშორისო გადაზიდვების კონტექსტში უნდა იქნას განხილული.

— ევროკავშირში გაწევრიანების შემთხვევაში, რა მოთხოვნები გაჩნდება საქართველოსთან მიმართებით?

— ევროკავშირის პირველადი, მთავარი მოთხოვნა პროდუქციის ხარისხი და მისი უსფრთხოებაა. პროდუქტი მაღალი სტანდარტის უნდა იყოს და თანამედროვე მოთხოვნებს აკმაყოფილებდეს. ასევე, მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო იყოს. შესაბამისად, საქართველოში წარმოებული პროდუქცია ევროკავშირის ბაზარზე ვერ მოხვდება, თუ აღნიშნულ სტანდარტებს არ დააკმაყოფილებს. თორემ, ქვეყნის შიგნით შეგვიძლია პროდუქციის წარმოება, მაგრამ ის საერთაშორისო აღიარებას ვერ მოიპოვებს. ადგილობრივი წარმოების განვითარებას აი, ამ პრინციპით უნდა მივუდგეთ.

ჩვენ ინდუსტრიული დარგების როლისა და მნიშვნელობის, გადამამუშავებელი მრეწველობის წინა პლანზე წამოწევა გვჭირდება იმისთვის, რომ საქართველოს საკმაოდ განვითარებული გადამამუშავებელი მრეწველობა ჰქონდეს და ეს შრომით საერთაშორისო დანაწილებაში მხოლოდ სატრანზიტო მომსახურების დარგებით არ იყოს წარმოდგენილი.

— ამერიკა სანქციებითაც გვემუქრება, ეს რამდენად დააზარალებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას?

— ვერ გეტყვით, რომ არ დააზარალებს, ეს ტყუილი იქნება. მაგრამ აქ ლაპარაკია იმაზე, რამდენად იქნება ეს ნეგატიური მუხტის მატარებელი. სანქციების გარეშე თუ ჩვენი ეკონომიკა 10%-ით იზრდება, სანქციების დაწესების შემთხვევაში ზრდა რამდენიმე პუნქტით ნაკლები იქნება. საქართველომ ეკონომიკის ზრდას სწორედ ჩვენი შიდა რესურსების გამოყენების მობილიზაციისა და

სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესების ხარჯზე მიაღწია. აქვე ერთიც უნდა აღინიშნოს: საქართველოს თავდაცვის ძალებისთვის ყოველწლიური დახმარება აღარ გამოიყოფა. თუმცა საქართველოს გაზრდილი ბიუჯეტიდან — ნახევარი მილიარდი ლარიდან საგრძნობი ნაწილი, ასი მილიონი ლარი, თავდაცვის სამინისტროს გადაეცა. ოფიციალური კურსით თუ გადავიანგარიშებთ, ეს თითქმის ავსებს იმ შემცირებულ თანხას, რაც აშშ-იდან და ევროკავშირიდან დახმარების სახით უნდა მიგვეღო. შემოსავლების სტრუქტურა შეიცვალა, თორემ თავდაცვისთვის გამოყოფილი თანხის სიდიდე იგივე დარჩა.

— ბატონო სოსო, ბოლო დროს ლარი დასტაბილურდა. გრძელვადიან პერსპექტივაში რა მოლოდინები გაქვთ?

— საგადამხდელო ბალანსს არამარტო საქონლის, არამედ მომსახურების ექსპორტ-იმპორტითაც უნდა შევხედოთ. ზაფხულის თვეები ტურისტული თვალსაზრისით უფრო აქტიურად არის დატვირთული. ამ დროს ქვეყანაში შემოსულ ტურისტთა რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ თითოეული უცხოელი ტურისტი საქართველოში რამდენჯერმე მეტ თანხას ხარჯავს, ვიდრე საქართველოს რეზიდენტი პირი უცხოეთში, ეს პოზიტიურ ფონს ქმნის იმისთვის, რომ მომსახურების ექსპორტსა და იმპორტს შორის დადებითი ბალანსი ჩამოყალიბდეს.

თამარ შველიძე

„ლიბერალური დემოკრატია“ არის პოსტადამიანის ეპოქაზე ორიენტირებული ფაშიზმი

გვესაუბრება ექსპერტი, ანალიტიკოსი გეოპოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით სოფიკო სოხაძე:

მსოფლიო გეოპოლიტიკა და საქართველო

- დღევანდელი ცივილიზაცია ძალის პარადიგმას ემყარება. საერთაშორისო სამართალი, დიდი ხანია, აღარ მოქმედებს. გაერო თავის მთავარ ფუნქციას ვერ ასრულებს. ჩვენ ჯერ კიდევ გვაქვს იმის ილუზია, რომ სამართლებრივი სივრცე არსებობს. რეალურად კი, სამართლებრივი სივრცე, საერთაშორისო-სამართლებრივი სისტემა მოშლილია. დასავლეთმა თავად დახურა დემოკრატიის პროექტი. ამ პროცესის ყველაზე მწვავე გამოვლინებას ვიხილავთ ამა წლის ნოემბერში ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებზე - ლიბერალური დემოკრატიის სისტემის რღვევა ყველაზე მძაფრად ამ სისტემის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ცენტრში იგრძნობა. მეორე მსოფლიო ომის შემდგომი მსოფლიო წესრიგი ჩვენს თვალწინ ინგრევა, ახალი კი შექმნის პროცესშია. მთავარი მოთამაშეები - მსოფლიოს ძალის ცენტრები (აშშ, რუსეთი, ჩინეთი) ვერ შეთანხმედენენ მსოფლიოს მოწყობის იმ ოპტიმალურ მოდელზე, რაც მათთვის მისაღები იქნებოდა. დღეს მხოლოდ ძალა წყვეტს „ცივილიზებული სამყაროს” ბედს. სამყარო გავეშებული მხეცის მდგომარეობაშია, სადაც სამართალსა და ჰუმანურობაზე საუბარიც კი ზედმეტია. დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ, რომ დღევანდელი ცივილიზაცია ძალის პარადიგმას ემყარება. მხოლოდ მძლავრი პარადიგმული ცვლილება, რაც მენტალურ ტრანსფორმაციას და კაცობრიობის ცივილიზაციური განვითარების თვისობრივად ახალ ეტაპზე გადასვლას გულისხმობს, გამოიყვანს სამყაროს აპოკალიპტური მასშტაბის საფრთხის მდგომარეობიდან. სამწუხაროდ, ამგვარი ცნობიერებითი გაჯანსაღების ნიშნები ჯერ არ ჩანს. „პრაქტიკული გონების ტყვეობაში“ მყოფი გლობალური დასავლეთი ვერ ელევა ერთპოლუსიანი მმართველობითი სისტემის „სიკეთეებს“ და ტრანსჰუმანისტური იდეებით არის შთაგონებული, დანარჩენი მსოფლიო სხვა, ახალი გზის ძიებაშია (მრავალპოლუსიანი სამყარო). ეს რთული, მრავალწახნაგოვანი, სასტიკი პროცესია, რომლის მიმდინარეობისას ახალი გეოპოლიტიკური კონსტრუქციები შეიქმნება, ძველი დაიშლება, მრავალი ქვეყანა გაქრება რუკიდან. გლობალური საფრთხეები, დიდ გამოწვევებთან ერთად, ასევე ქმნის დიდ შესაძლებლობებსაც - მსოფლიოს ძალის ცენტრებს შორის ჯახმა, ახალმა გეოპოლიტიკურმა გადანაწილებამ, ჩვენი სტატუსის მქონე (გარე მართვაზე მყოფი სუვერენიტეტის დაბალი ხარისხით) ბუფერულ ზონებში მყოფ ქვეყნებს მოგვცა შესაძლებლობა, ვაწარმოოთ მრავალვექტორული პოლიტიკა; გამოვიდეთ ნეოლიბერალური პარადიგმიდან; გეოპოლიტიკური რეალიების სწორად აღქმის და გათვალისწინების შემთხვევაში, ავიმაღლოთ სუვერენიტეტის ხარისხი და გეოპოლიტიკური სტატუსი.

ის, რაც დღეს ცხელ წერტილებში - გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვან არეალებში, ძალის ცენტრებს შორის ხდება, ერთიანი, დიდი, გაშლილი საბრძოლო მოქმედებათა თეატრის შემადგენელი ნაწილებია. მთავარი ჯახი ჯერ კიდევ წინ არის ინდო-წყნარი ოკეანის აუზში, სადაც ზღვის ცივილიზაციასთან (ანგლო-საქსური სამყარო, აუკუსის ბლოკი) დაპირისპირებისას, ევრაზიის კონტინენტის სხვა დიდ მოთამაშეებთან ერთად, ავანგარდში იქნება ჩინეთი. ამ დიდი ჯახის წინ, არსებითად მნიშვნელოვანია, თუ რა გეოპოლიტიკურ კონფიგურაციას შეიძენს სამხრეთ-კავკასიის და ახლო აღმოსავლეთის რეგიონი.

ახალი მსოფლიო წესრიგი

ანგლო-საქსური სამყარო და გლობალისტური ელიტები ვერ და არ იტყვიან უარს თავიანთ სტრატეგიულ მიზნებზე, ევრაზიის კონტინენტთან მიმართებით, სადაც ერთ-ერთი მთავარი მიმართულება გახლავთ რუსეთის სამხრეთ საზღვრებზე „კრიტიკული სარტყელის გააქტიურება“, რუსეთის სამხრეთ პერიმეტრზე „ცეცხლოვანი რკალის შექმნა“. ნატო-სა და ნატო-ს მოკავშირეების მიერ წარმოებული უკრაინის კონტრშეტევის ოპერაციის მარცხის შემდეგ (კონტრშეტევის მიზანი გახლდათ“საფრთხე შექმნოდა ყირიმის იმდროინდელ სტატუსს“ და დასავლეთს მოეპოვებინა სტრატეგიული უპირატესობა შავ ზღვაზე), დაძაბულობის ვექტორი სამხრეთ კავკასიისკენ ინაცვლებს - კავკასია დგას რეალური საშიშროების წინაშე, გადაიქცეს ძალის ცენტრებს შორის ჯახის მორიგ არეალად. ფსონები ძალზედ მაღალია - რეგიონალური მასშტაბიდან საფრთხე გაზრდილია გლობალურ მასშტაბამდე. ვექტორები მიმართულია რუსეთის და ირანის წინააღმდეგ. ჩვენი გაურჩება, მთავარი სცენარის განსავითარებლად. ისინი არც მალავენ თავიანთ განზრახვას და უტიფრად გვეუბნებიან, თავდაცვის ძალებისთვის განკუთვნილი 30 მილიონი ევრო ლომჯარია-გიგაურის კანტორაში გადავამისამართეთ, კარგად რომ აგაყირავოთო. ეს უკვე სრული ლუსტრაციაა, თუმცა ბოლო ორი წელი, ჩვენ თვალს ვადევნებთ რევოლუციური სცენარის განვითარების სხვადასხვა ეტაპს ფარული თუ აშკარა ნიშნებით. მათთან შეკრული ძალები „ნაციონალური მოძრაობის“ თაოსნობით, ნაციონალების ორბიტაზე მოაზრებული ანასხლეტი პარტიებით, მდიდარი ენჯეოების კლანით, მედია სექტორითა და ელექტორატით, ყველაზე ბინძურ დავალებებს შეასრულებენ და ნებისმიერ პროვოკაციაზე წავლენ. აქ ერთი ნიუანსია საინტერესო, კერძოდ, ზემოხსენებული კონგლომერატის ელიტა იმედოვნებს, რომ საქართველოს მიერ მთავარი დავალების (სახელმწიფო გადატრიალება, მეორე ფრონტის გახსნა, საქართველოს გადაქცევა ლიბერალური დემოკრატიის ფორპოსტად რეგიონში) შესრულების შემთხვევაში, გლობალისტური ძალები მათ თავიანთ ელიტაში დაუდებენ საპატიო ადგილს და ახალი მსოფლიო წესრიგის არქიტექტურაში მნიშვნელოვან როლსა და ფუნქციას მიანიჭებენ, რაც იქნება გარანტი მათი კლანის მუდმივად ძალაუფლებაში ყოფნისა და მატერიალური კეთილდღეობისა. მწარედ სცდებიან - მათ გამოიყენებენ და როგორც მოწშეებს ბინძური თამაშისა, სხვათა უწინარეს მოიცილებენ.

საფრთხე და პრევენცია

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი გლობალისტური სტრუქტურაა, რომელიც სრულად ექვემდებარება აშშ-ის ადმინისტრაციას, საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში. ევროკავშირი გლობალისტური პროექტების განხორციელების ავანგარდშია და ისევე ეწინააღმდეგება ევროპის შიგნით, ევროპის ცალკეული სახელმწიფოების სუვერენიტეტის იდეას, ერი-სახელმწიფოს ფორმაციას, კონსერვატიულ იდეებს, როგორც მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში. გავიხსენოთ, რა მწვავე რეაქცია მოჰყვა აშშ-ისა და ევროკავშირის მხრიდან, საფრანგეთის პრეზიდენტ მაკრონის განცხადებას იმის შესახებ, რომ „ევროპამ უნდა დაიბრუნოს სტრატეგიული ავტონომიურობა“.

იმედია, სახელმწიფოს შესაბამის სტრუქტურებს გათავისებული აქვთ არსებული ვითარების სიმწვავე, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე რეგიონში. რევოლუციური სცენარი ჩაშვებულია, რასაც ბოლო დროს განვითარებული ცნობილი მოვლენები ცხადყოფს. ფსონები ძალზედ მაღალია. გარედან მართული პროცესები ემსახურება სამხრეთ კავკასიის დესტაბილიზაციას. საერთაშორისო და რეგიონში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, საფრთხე ძალიან დიდია. ღალატი არავის ეპატიება. არავის ვურჩევ, წავიდეს ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ. საზოგადოებას მოვუწოდებ სიფხიზლისკენ. ლავირების რესურსი დღეს დიდ სახელმწიფოებსაც კი ეწურებათ, არათუ ჩვენი სტატუსის მქონე ქვეყანას (ჩვენი სუვერენიტეტი არის ძალიან დაბალი ხარისხის). ევრაზიის კონტინენტის დიდი მოთამაშეების - ძალის ცენტრების გამაწონასწორებელი და შემაკავებელი ფუნქციის ჩართვის გარეშე, ქვეყანას არ აქვს რეალური რესურსი, გაუმკლავდეს „გლობალური ომის პარტიის“ მიერ დაგეგმილ რევოლუციურ სცენარს. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ არსებული გეოპოლიტიკური რეალიები, ვაწარმოოთ მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკა, დავიჭიროთ პრაგმატულ გათვლაზე დამყარებული სწორი გეოპოლიტიკური ვექტორი გლობალურ აღმოსავლეთთან და გლობალურ სამხრეთთან მიმართებით, ვიფიქროთ ბრიქსის ფორმატთან თანამშრომლობაზე, ვიფიქროთ რეგიონალური განვითარების (3+3) პროექტში მონაწილეობაზე - არა მხოლოდ აღმოსავლეთ-დასავლეთის, არამედ ჩრდილოეთ-სამხრეთის და სამხრეთ-ჩრდილოეთის მიმართულებით. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ნაწილობრივ ეს პროცესი დაწყებულია. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ხელისუფლება ითვალისწინებს მსოფლიოსა და რეგიონში არსებულ საფრთხეებს და გეოპოლიტიკურ რეალიებს.

უკრაინის მაგალითზე ვნახეთ, თუ რას წარმოადგენს „ცივილიზირებული სამყაროს მხრიდან უსაფრთხოების გარანტიები“. მსოფლიო გეოპოლიტიკური სიმძიმის ცენტრი, მსოფლიო ეკონომიკის სიმძიმის ცენტრი დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ ინაცვლებს - ეს მოცემულობაა, რასაც რომის პაპიც კი აღიარებს. 2023 წლის სექტემბერში პაპის ვიზიტი მონღოლეთში და „**Pax Mongolika**“-ს იდეა სხვა არაფერია, თუ არა ევრაზიის კონტინენტის უსაფრთხოების ერთიანი არქიტექტურის ფორმირების იდეა და ამ სივრცეში ევროპის (თუნდაც აღმოსავლეთ ევროპის) ინტეგრირება. ვფიქრობ, ეს საკითხი აუცილებლად დადგება თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური დღის წესრიგში.

ნონა ქარქაშაძე

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

№26 (759) 17.VII. 2024 წ.

თქვენ აჭყუებთ ხალხს!

როგორ აფინანსებენ ამერიკული ფულით ამერიკელი პოლიტიკოსები ასობით უცხოურ ორგანიზაციასა და ქსელებს, მათ შორის, თალიბებსაც, ეს ჩანაწერი მსოფლიოში გავრცელდა და საქართველოში ვერ ვნახავდით?

ბრაიან მასტი. ამერიკელი კონგრესმენი: იუესაიდი, გლობალ მედია სააგენტო და კიდევ უამრავი სახელმწიფო სტრუქტურა გასცემს გრანტებს, ქვეგრანტებს და ვისზე აღარ, რაზეც ჩვენ ინფორმაცია არ გვაქვს. ჩვენ გეუბნებით, — ეს ორივე პარტიის შეთანხმებაა, — სანამ ამ გრანტებზე ანგარიშს არ ჩაგვაბარებთ, ერთ დოლარსაც კი ვერ მიიღებთ. ნახევარმილიონიანი გრანტი გაგიციათ ნეპალში ათეიზმის გასავრცელებლად. პროკურატურამ ავღანური გრანტები შეისწავლა და აღმოჩნდა, რომ ფული პირდაპირ თალიბების ჯიბეში ხვდებოდა. 144 ენჯეო-დან, რომელთაც პასუხი მოსთხოვეს, პასუხი მხოლოდ 65-მა დააბრუნა. მოხსენებაში მითითებულ ამ კომპანიებს გაუყინეთ თუ არა ანგარიშები?

ენტონი ბლინკენი. აშშ-ის სახელმწიფო მდივანი: არ არის სწორი, რომ ფული პირდაპირ მიდის თალიბებთან. ჩვენ ვაფინანსებთ გაერო-ს, ენჯეო-ებს — ჯამში, ეს იყო 2 მლრდ დოლარი...

ბ. მ: ტყუით! თქვენ ატყუებთ ხალხს! ის ფული წავიდა პირდაპირ თალიბებთან, რომელთაც თქვენმა შუამავალმა ენჯეო-ებმა დაურიგეს სხვადასხვა მიზეზით!

ე. ბ: აგიხსნით, რაშია საქმე...

ბ. მ: არა, არ მაინტერესებს თქვენი ტყუილები — პროკურატურის ანგარიშში გასაგებად წერია, რაშიც არის საქმე. კითხვაზე მიპასუხეთ, იმ ენჯეოებს, რომლებიც არ პასუხობენ კითხვებს გრანტების ხარჯვაზე, გაუყინეთ თუ არა ანგარიშები?

ე. ბ: ვმსჯელობთ, რა გავაკეთოთ...“

შავ დღეში ჩააგდო კონგრესმენმა ბრაიან მასტმა ენტონი ბლინკენი, რომელიც საპასუხოდ ვერაფერს ამბობს. ასე რომ, პატიოსანმა ამერიკელმა კონგრესმენებმა კარგად იციან, რა ხდება საქართველოსთან მიმართებაშიც ე. წ. გამჭვირვალობის კანონთან დაკავშირებით. ასევე, ძალიან კარგად იციან ევროპელმა პოლიტიკოსებმაც, ე. წ. კოლექტიურმა დასავლეთმა, მაგრამ კუდი რომ აქვთ დასვრილი, ქუდი ეწვით.

ჰერჩინსკის განცხადება საუკეთესო იარაღია ჩვენს ხელში, — ხარობენ საქართველოს მავნებლები საქართველოს მავნებლობით.

მე ის უფრო მაინტერესებს, თვით ჰერჩინსკი რითი ჰყავთ ყურებით დაჭერილი, რა აქვს ასეთი მიქარული? აბა, რასაც ამბობდა, ეს როგორ უნდა თქვა, თუ ზეწოლის ქვეშ არ ხარ?

ევროკავშირის ელჩი ამბობს, გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ ოქტომბრის არჩევნების შემდეგ გადავტვირთავთ პოლიტიკას და საქართველოში ახალი მთავრობა დაიწყებს სერიოზულ მუშაობას ევროკავშირში გაწევრიანებისთვისო;

კაცი უტიფრად ამბობს, ყველანაირ პრობლემებს შევუქმნით „ქართულ ოცნებას“, რადგან გვეურჩება, არც ცალ ფეხზე დახტის ჩვენს ნათქვამზე და არც ფეხქვეშ გვივარდება პატიების თხოვნითო. იქით, ვითომ ოპოზიციას, რეალურად, საკუთარი სამშობლოს მოღალატეებს აიმედებს, ნუ გეშინიათ, 27-ში ახალი ძალა რომ მოვა, ყველა შეჩერებული პროცესი აღდგება და ძველებური სიამტკბილობა გვექნებაო.

მგონი, ანტონ ჩეხოვმა თქვა, თუ ცოლმა გიღალატა, გიხაროდეს, რომ შენ გიღალატა და არა სამშობლოსო — სათქმელი რა სიტყვებით ვთქვა, სიტყვა რომ არ გამექცეს ბილწსიტყვაობისკენ, დიდხანს ვფიქრობ — თქვენ გცემთ პატივს, მკითხველს, თორემ...

ეს დედაჟრიამულები, ტერორისტულ ორგანიზაციად გამოცხადებულ „თალიბანს“ აფინანსებენ უშურველად, ცალკე კიდევ, რა ტექნიკა დაუტოვეს, რამდენ მილიონად ღირებული და ამ პაწაწინა სტუმართმოყვარე და მშვიდობიან საქართველოს სამი თითი გვიჩვენეს, თითქოს ვინმეს 30 მილიონზე ვიყოთ ჩამოკიდებული, გინდ ევროზე იყოს ლაპარაკი, გინდ — დოლარზე.

მეტი როგორ თქვან — ჯარის წვრთნაში არ გადავიხდით 30 მლნ-ს, მაგრამ ენჯეო-ების წვრთნაში — დიდი სიამოვნებითო.

სტრატეგიულ პარტნიორზეა საუბარი!

ევროპელი ე. წ. პოლიტიკოსები რომ ასკინკილით დარბიან აშშ-ის წინაშე და მის გარშემო, ამიტომ მიმყავს ყველა გზა თვითმარქვია „ახალი რომისკენ,“ თორემ კარგად ვიცით, ვინ რას მიედ-მოედება!

ამ ჩვენის გადანგრეულ დაუძინებელ მეგობრებს (უკვე ბრჭყალების გარეშე), ისე აქვთ დაქსელილი საქართველო თავისი აგენტურით, „კასპში დიდი ქვის ქვეშ“ რა დევს, ის იციან და ის აღარ იციან, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო 30 მლნ ევროს ხამი არ არის? — მილიარდ-ნახევრიანი ბიუჯეტი აქვს და ახლა კიდევ 100 მლნ შეემატება..

მე ამათი დაუნახავი და უმადური დედა რომ ვატირე!

წლების განმავლობაში ვამბობდი, რატომ უნდა იხოცებოდნენ ჩვენი ბიჭები სხვების ინტერესების გამო „ცხელ წერტილებად“ გამოცხადებულ ადგილებში და რატომ უნდა სახიჩრდებოდნენ-მეთქი, მაგრამ თვითონ არ ესმოდათ, ეამაყებოდათ „მისიებში“ მონაწილეობა და... გროშების ფასად მოგვტაცეს ჩვენი საჯიშე ბიჭები და კიდევ აქეთ ატლიკინებენ გრძელ ენებს.

ისღა გვაკლდა, გერმანიის ვიღაც, გერმანიის მთავრობის თუ რაღაცის კოორდინატორი რომ აცხადებდა, როცა მოლდოვა და უკრაინა გაწევრინების პროცესს იწყებენ, საქართველომ გადაწყვიტა, პროცესისგან განზე გამდგარიყო — საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი შეჩერებულიაო. წადი, თქვენი კორუმპირებული ევროკავშირის თავზეც გავიარე, რაღაც ბოროტი და ლაჩარი, აშშ-ის მონა ქრთამისტების კავშირი რომ ყოფილა!

იქით საფრანგეთმა ჩაიყუყუნა რაღაც მსგავსი თუ იგივე. არ მეხუმრება, თორემ სპირიტული სეანსის ჩატარებას ვურჩევდი საფრანგეთსაც და გერმანიასაც, ერის დიდი წინაპრების სულები გამოეძახათ თეფშის დატრილებით, ნაპოლეონისა და ჰიტლერის და ზედ ქართველი ბაგრატიონი და ქართველი სტალინი დაეყოლებინათ...

ბატონმა შალვა პაპუაშვილმა დაიჩივლა, მოლოდინები მქონდა, რომ ევროპელი ელჩებისგან მოვისმენდი დაპირებას მათი ქვეყნიდან შემოსული თანხის გამჭვირვალობაზე, მაგრამ ამის სანაცვლოდ, გვესმის რაღაც გაბრაზებული კომენტარებიო. კაი, კაი, მაგას ვინ დაგიჯერებს!..

იმე, ბეჩა, ქვე რავა გეგონა მასე!

„ჩვენი პარტნიორი ქვეყნები“-მეთქი — ვამბობდი და არ მიჯერებდით. „პარტნიორი“ ის სიტყვაა, რომელიც თავის თავშივე მოიცავს უნდობლობას, რადგან დროებითი ცნებაა, დროებით ურთიერთსაჭიროებაზე გათვლილი და, შესაბამისად, არამდგრადი. პარტნიორს არ ვენდობი-მეთქი — თავსართად გინდ „სტრატეგიული“ დაურთონ ახლა და გინდა — „სექსუალური“...

ახლა გაიოცეს და იკითხეს: პარტნიორების მხრიდან სადაური წესია, როცა მეორე მხარეს წარმოდგენილ პარტნიორს თავდასაცავ ფულს ართმევ და მასზე თავდამსხმელებს აძლევო?

ხომ მიიღეს პასუხი, სადაური წესია და აქაურიო!

მე, შეიძლება, „დიდ ავიაციაში“ ვალიკო მიზანდარივით ვერ ვერკვევი, მაგრამ ნატო-ს 75-ე სამიტზე „ჩანგალზე მისულად“ რომ იჯდა ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრი, ამის აღიარების ლოყა უნდა გქონდეს. ლოყა რა შუაშია? თავშია! ტკაცან! — ვაჰ, მხოლოდ ერთხელ ახსენეს საქართველოო...

ჩვენი ბიჭი ისე იყო წარმოდგენილი, როგორც დანარჩენი ორი „უბნელი“ ბიჭი, რომელთაც სულ ყარაბაღზე ჰკიდიათ ნატო-ც და მისი სამიტიც. არადა, მახსოვს, „ასპირანტი“ რომ დაგვარქვეს, მაპ-ზე უკეთესი მოგვცეს. „უსტაბაშისა“ არ იყოს, იმის ნაცვლად, გვეთქვა, მანდ რა გვესაქმება, „ჩვენ მხოლოდ მაყოფს გეახლებითო“ და „კაკოი პრივეტ, ტაკოი ატვეტო“ — რა გვექნა, დავით ზალკანიანის საუკუნის ფრაზას ჩამოვეკიდეთ, ჩვენ ნატო-ს კარებზე ვაკაკუნებთო. გითხრეს, ღიაა, მაგრამ არ არის ღიაო — ვეღარ უნდა გაიგო, რომ სხვაგან მოხვდი და ტუუუუ?

თანაკლასელი მყავდა, სურეია ეიბოვა. ძალიან კარგი გოგო იყო, მაგრამ, როდესაც ჩვენს კლასში აღმოჩნდა, ვერ ვიგებდით, სახელი რომელი იყო და გვარი რომელი, სურეიასი არ იყოს, ეს უზრა ზეია რომ ჩამოვიდა და მე სოფო ჯაფარიძის ბიძა მეგონა, მისი სახელი რომელია?

ის არ მეყოფოდა, რომ მეგონა, სალომე ზურაბიშვილის ორეული ვნახე, სახელი გვარიშვილი რეგალიაო? რა ვიცი, უცნაური სახელების მოგონება იციან მეგრელებმა და ვიფიქრე, ამ ქალს სახელად „სახელი“ ჰქვია, მამის სახელი აქვს „გვარიშვილი“ და გვარად არის „რეგალია.“ (ფოტოს დახედეთ) ჰოდა, ის ზეია უზრა თუ უზრა ზეია რომ ჩამოვიდა და ლამის ეგრევე გაგვაელგებეტევა ყველა, თეთრი სახლის ამჟამინდელი პრესსპიკერის, კარინ ჟან პიერის პატივსაცემად ისე უცბად რატომ გაიქცა სომხეთში, „ცივი ომის დამქაშებს არ აჭამეს ხინკალი“, თუ ჩვენმა პრემიერმა შეხვედრის დროს ენა გამოუყო?

აქ ჩვენ ავზუზუნდით, ვჯახირობთ რაღაცას; აზერბაიჯანში არ გაუვიდათ, ჭკვიანი კაცია ალიევი, სასწრაფოდ მოქესტა იუესაიდი, საფრანგეთის ჯაშუშებიც ვიტრინაში გამოდო და ახლა უშნოდ დაძრწიან სომხეთში.

ჩვენ ხომ ჩვენი დაგვემართა და ამ სომხებს რაღა სჭირთ, მუდამ ქართველების წამხედურები როგორ არიან ყველაფერში, ყარაბაღი არ ეკმარათ? მაგათ ეგრე იხტუნონ კოლექტიური დასავლეთის საამებლად ასკინკილით და ლორეს რომ ძალით ჩაგვახუტებს კანონზომიერება, ეგებ მოვესწრო კიდეც მაგ ამბავსაც...

უცხო ქვეყნებიდან საქართველოში გაურკვეველი დანიშნულების ნჯო-ები და ასევე მათთვის გაურკვეველი დანიშნულებისთვის შემოდინებული გრანტები რომ საჯაშუშო ფული იყო, იმთავითვე ვიცოდით, მაგრამ თურმე ჯავშანიც რომ ყოფილა, უკრაინაში ახლა ღიად გამოცხადდა, — უკრაინის მთავრობამ არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომლები სავალდებულო მობილიზაციისგან გაათავისუფლა.

მარტივად შევხედოთ, ეს რას ნიშნავს. ეს იმას ნიშნავს, რომ „ქართული ოცნება“ თუ ჩააჩოჩეს (ან ჩაჩოჩდა), მეორე დღესვე საქართველო რუსეთთან წინასწარ წაგებულ ომში ჩაებმება! არც დაუმალავთ კრებსით ლომჯარიებს...

როგორც ახლა ჩანს, ჩვენს გრანტისმათხოვრებსაც აქვთ მიღებული მსგავსი საჯაშუშო გარანტიები და ამიტომ იყვნენ ასე თავგამოდებულები რუსეთთან ომის დაწყებაზე, ჩვენ კიდევ ვამბობდით, ვისაც ომი უნდა, წინა ხაზზე უნდა გავუშვათო. რა წინა



ხაზზე, ბამბებში შეფუთავენ, ამათ არაფერი მოუვიდეთო. ფაქტობრივად, მათ გამო არ აგვიმხედრდა მთელი სირბანჯო დასავლეთი?

როგორც უკრაინელი ხალხი არ ანაღვლებს კოლექტიურ დასავლეთს, ისე არ ანაღვლებთ ქართველი ხალხი და ზოგადად, არანაირი ხალხი, მათ მხოლოდ თავიანთი ინტერესები აქვთ ყველგან და მათთვის არსებობენ მხოლოდ მათი ინტერესების გამტარებელი მონები, თანამედროვეობაში ნჯო-ები რომ ჰქვიათ, შესაბამისად, მათ ჯავშანი უნდა ჰქონდეთ — სულაც არ მიკვირს!

გუშინ კიდევ ერთი (მერამდენე) ვიდეო ვნახე, როგორ მიათრევენ ხარკოვში ქუჩიდან ახალგაზრდა მამაკაცს სამხედროები — იძულებითი სამხედრო მობილიზაცია. ამ ე. წ. ჯავშანს რა ფასი ედება უკრაინაში, უკვე წარმომიდგენია.

ზელენსკის უკრაინას სწორედაც რომ თავში ქვა უხლია, მე ჩემი მაქვს საზრუნავ-საფიქრალი — ახლა აქ „წინდახედულების კადრებით“ რომ შეივსება **ამ საშშობლოს გამყიდველების რიგები, ეგ ცალკე მზაფრავს. 9 აპრილის შემდეგ უსუფაშვილის პარტიაში შესვლისა არ იყოს, უნდა დაფიქსირდეს თარიღი და ამ თარიღის შემდეგ ენჯეო სექტორში შესული მამრობითი სქესის წარმომადგენლები პირდაპირ უნდა ჩაიწერონ კრებსით ლომჯარიებზე უარესებად!**

გესმით, უკრაინელი ხალხის თავზე გადალაჯების რა დონეზეა საუბარი?

100%-იანი ჯავშანი აქვს ვიღაც წვინტლიან მიკოლას, რომელიც საზოგადოებრივ აზრს იკვლევს ენჯეო სექტორში და ვთქვათ, მაშველი, პოლიციელი და ა. შ. არაფერს წარმოადგენენ, მათ სრული ჯავშანი არ აქვთ.

უკრაინელი ხალხი ხედავს ყველაფერს, მაგრამ როგორც ჩვენ ვგმინავდით 9 წელი, ისე არიან ახლა ისინიც, ვერაფერს ახერხებენ. იკითხა უკრაინელმა პოლიტოლოგმა კონსტანტინ ბონდარენკომ: „რატომ აქვთ სოროსელებს ამხელა მნიშვნელობა უკრაინისთვის, რა „ელიტური ფენაა“, რომელიც ჯერ შემოსავლების დეკლარირებისგან გათავისუფლდა, შემდეგ მობილიზაციისგან? ფაქტობრივად, მიმდინარეობს რაღაც მოძრაობა „გრანტიჭამიების სიცოცხლე მნიშვნელოვანია!“

მე ის გავიგე ბეჭედდასმულად, რაც უზრა ზეია ბიძია-დეიდამ დაგვიბარა, აშშ-ისა და ევროპის მიერ მხარდაჭერილმა და დაფინანსებულმა სუბიექტებმა აქ რომ ყველაფერი დაანგრიონ, მაინც ხელშეუხებლები უნდა დარჩნენო, რადგან ეს ყოფილა დემოკრატიის საზომი და კიდევ, თურმე ლგბტ-ზე დგას პლანეტის მომავალი.

ეს ვითომ ქართველი უსამშობლოები ხარობენ, მთავარია სიგნალებიო. აი, თქვენ კი დაგასიგნალათ ნიკო მუნჯმა!

ზურა ოთხერელი

განებავთ ნებაყოფლობითი სიკვდილი?

(დასასრული. დასაწყისი „სგ“ N22)

რატომ ძვირდება პროდუქცია დახლზე ყოველწლიურად

— მოქალაქეებს გვიჭირს გაძვირებული პროდუქტის შეძენა. ეს დაუსრულებლად გაგრძელდება, თუ რა ხდება?

— მაგალითს მოგიყვანთ და მარტივად გაიაზრებთ. მე მაქვს კომპანია, ვარ შემომტანი. რა თქმა უნდა, დასაქმებული მყავს ხალხი, ხარჯები მაქვს. ამას ემატება ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე, მიმდინარე ხარჯი, ბანკი, იჯარა, ხელფასები, საწვავი და ა. შ. — ეს ხარჯი აქვს ყველა კომპანიას.

რომ ავიღოთ ერთ-ერთი მსხვილი სუპერმარკეტი, სადაც მინდა, რომ ჩემი პროდუქცია გაიყიდოს, პირველი — მთხოვენ შესვლის გადასახადს, რომელიც 10 000 ლარიდან იწყება და იმატებს. ფეხის მოკიდება რომ გინდა ბაზარზე ასეა, ზურგი უნდა გქონდეს, რომ ეს გადაიხადო. გარდა ამისა, გთხოვენ მარკეტინგულ ქეშ-ბექს.

— ეს რა არის?

— ვთქვათ, შევიტანე ასი ათასი ლარის პროდუქცია. არ დავასახელებ კონკრეტულ ობიექტებს, მაგრამ ყველგან ასეა. ერთ-ერთი მსხვილი მარკეტი მთხოვს, პირობითად 27%-ს მარკეტინგულ ქეშ-ბექს. ეს ნიშნავს იმას, რომ მე რომ პროდუქცია შემაქვს, იმას თავისი 27 % უკვე მოხსნილი აქვს და ჯიბეში აქვს წაღებული. ამის გარდა, რასაც გაყიდის ჯამში, იმის რეალიზებულ ფულს მირიცხავს, ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ მე რომ 27%-ს მთხოვს, მე, შესაბამისად, ჩემი ხარჯები რომ მაქვს, ამის გარდა ზემოდან უნდა დავამატო კიდევ. ეს პროცენტი, არ არის უკვე 27% — იქ შენი მოგებაც უნდა მიათვალო. ამის გარდა, არსებობს კიდევ საოპერაციო ხარჯი, არსებობს სარეკლამო ხარჯი და არსებობს შენი წმინდა მოგება. რა გრჩება, ესეც ბრუნვაზეა დამოკიდებული. 5-იდან 10 პროცენტამდე თუ არ გრჩება მოგება, აზრი არ აქვს შენს ბიზნესს. შესაბამისად, რაც გაქვს ვალდებულება, გარდა ამისა, რასაც გთხოვენ „ქსელურები“, ეს ყველაფერი ფასშია ასახული. მე იძულებული ვხდები, პროდუქცია გავაძვირო — სხვანაირად ვერ შევდივარ მაღაზიაში!

ახლა საქმე რაშია — მე ის 27% ხომ მაქვს ვალდებულება, ამათანავე, მაკისრია რომ თვეში ერთხელ იქნება თუ სამ თვეში ერთხელ, აქციები ვაძლიო. იქ აქციები კიდევ 10% და ზემოთ იწყება, ანუ, ამ 27%-ს კიდევ დამატებული 10%. შესაბამისად, ჩემი ფასნამატი უკვე ამ შემთხვევაში ადის უკვე 70-80%-ზე თვითიღებულებიდან! მე არ გასყიდებ ასე, კაპიკებში გაძლევ! ღირს რაღაც 1,80 ლარი — ეგ ჩემი ფასი არ არის, მე ლარად შემომაქვს! მაღაზია ამატებს თავის 20-25%-ს და მაღლა ვარდება ფასი!

მე რომ მაღაზიაში შემაქვს ლარიანი პროდუქტი ორ ლარზე მეტი ხდება! მე ვამბობ კარგ შემთხვევაში, თორემ, თუ კონკურენტი არ გყავს ბაზარზე, შვიდმაგს დაადებ, მაგრამ დღესდღეობით კონკურენციაა ბაზარზე...

— რა მაინტერესებს, იცი, ახალი წელი რომ დაიწყება, მაღაზიის დახლებზე პროდუქცია კიდევ გაძვირდება?

— აუცილებლად! ჰაერზე ხომ არ ვლაპარაკობ... ახლა, ეს წელი რომ დამთავრდება, 2025 წლის იანვრიდან, პირადად მე, დამიბარებენ ეს ქსელური მარკეტები და მომთხოვენ 2-3 %-ით კიდევ გაზრდას. ერთ-ერთ ყველაზე მსხვილი ქსელური მარკეტინგის მენეჯერს ვკითხე, რა გავაკეთო, მე ხომ ფასი უნდა მოვუმატომეთქი? არ მაინტერესებს, მთავარია კონკურენტზე იაფად მქონდესო.

— კი, მაგრამ, როდემდე შეიძლება ასე გაგრძელება?

— მიპასუხეს, სანამ სახელმწიფო არ დაგვარეგულირებსო. მიშვებულია რაა, „ველური დასავლეთია!“ ამის კონტროლი არ არსებობს.

არის კიდევ ერთი ცნობილი სუპერმარკეტების ქსელი, სადაც ყველა პროდუქციის შეტანას ყველა სხვა „ქსელურებზე“ იაფად ითხოვენ — რა გინდა რომ ქნა? ასე რომ, მუდმივად გაძვირდება და გაძვირდება, ოღონდ მე, შემომტანი არ ვარ დამნაშავე, იძულებულს მხდიან!

— მოიცა, ვერ გავიგე, უსასრულოდ გაძვირდება და გაძვირდება?

— კი, სხვანაირად წარმოუდგენელია! მე მაქვს ერთ-ერთი ქსელი, სადაც არის ფადსაკლება, პირობითად 22%, მერე მაქვს პროგრესირებადი გეგმა, ყოველ გაყიდულ პრუქციაზე კიდევ 1% ემატება; ამას 5% ემატება, რომ უბრალოდ, ვიყო მაღაზიაში და არ გამომიშვას; ამის გარდა, კიდევ მაქვს რაღაც-რაღაც სარეკლამო აქტივობები რომლებიც არანაირად არ მჭირდება, მაგრამ ხელშეკრულებით მთხოვს. ასეა, აუცილებლად მახდევინებს და საბოლოო ჯამში, აი, ამ ქსელში, წლის ბოლოს 38%-ზე ამდის ჩემი ფასდაკლება. შესაბამისად, მე, როგორც დისტრიბუტორი კომპანია, სხვანაირად ვერ ვიარსებებ, თუ ჩემი ფასნამატი არ ავწიე, სადღაც 60%-ზე, რომ დავაკმაყოფილო ეს მსხვილი ობიექტი. ფასი ხომ აწეული მრჩება — შესაბამისად, წვრილ ობიექტებშიც იძულებული ვარ, ეს ფასი შევთავაზო, რადგან ხელშეკრულებაში მიწერია, რომ უფლება არ მაქვს დაბალი პრაისით ვიმუშაო უბნის მაღაზიებთან, რომლებიც ამ პრინციპის გამო, ფაქტობრივად, ძალიან ცოტა დარჩა. ქსელურების პასუხი ის არის, ბიზნესის გასაფართოებლად გვინდა ამხელა ქეშბექებიო და გამოდის, რომ ჩემი და ჩემნაირი კომპანიების ხარჯზე, ჩვენი ფულით იხსნება ახალ-ახალი ქსელური მარკეტები.

ყველამ იცის ეს საკითხი, მაგრამ არ გამოჩნდა ადამიანი, ვინც ამით დაინტერესდება! დიდი ამბავი არ უნდა — მიხედე თავში და ეშველება ბოლოში, ოღონდ, მიხედე! მხოლოდ ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკით საქმე არ კეთდება! ათასნაირ უაზრო კანონებს რომ იღებენ და ამაში კარგავენ დროს, უპირველესად, სოციალური სფერო უნდა იყოს მნიშვნელოვანი.

ერთ-ერთი სფეროა სურსათის გაყიდვების დისტრიბუცია, ასევეა სააფთიაქო სფერო — გადაჯაჭვულია ყველა ერთმანეთზე. საწვავი რომ გახდება 3.20 ლარი, ამ ქსელურებს რომ მოვემსახურო, მე ხომ ხარჯი მაქვს, ამიტომ იძულებული ვარ, ესეც ფასში ავსახო!

— კარგი, სახელმწიფომ უნდა მიხედოს ამ ამბავს, მაგრამ ვინ უნდა აიღოს საკუთარ თავზე ამ საკითხვის მოგვარება, რომელიმე სამინისტრომ?

— ნება უნდა ამას! თვითონ ბიზნესს უნდა ჰქონდეს მოთხოვნა, მაგრამ ახლა ისეთი სიტუაციაა, რომ მეორე მხარე რომელიც არის — ქსელური სუპერმარკეტები, რომელთაც ბიუჯეტში დიდი ფული შეაქვთ, ღიად დაუტოვეს ეს საკითხი...

— ესე იგი, სახელმწიფოს არ აქვს ინტერესი, რომ ეს საკითხი დარეგულირდეს...

— ამაშია საქმე! თვითონაც ამ ქვეყანაში არიან, შენ თუ გიძვირდება, მასაც ხომ უძვირდება, მაგრამ მათ იმხელა შემოსავალი აქვთ, აღარ უყურებენ იმ 1-2 ლარით გაძვირებას.

16 ბ.

ღმერთმა დონალდ ტრამპი გადაარჩინა და არა – აშშ!

ლიბერალური ფაშიზმი ცდილობს, თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში ფეხი მყარად მოიკიდოს. ამის დასტურია ამერიკის შეერთებული შტატების 45-ე პრეზიდენტზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა მისი ლიკვიდაციის მიზნით. ტრამპი მხოლოდ ყოფილი პრეზიდენტი როდია, იგი აპირებს, კვლავ იყაროს კენჭი თეთრი სახლის ოვალური კაბინეტის დასაკავებლად. ექსპერტ-ანალიტიკოსები უკვე დიდი ალბათობით ვარაუდობენ, რომ რეალური შანსები აქვს, კვლავ დაიკავოს ქვეყნის მმართველის თანამდებობა.

ანალიტიკოსებს და ჟურნალისტებს, რომლებიც, ძირითადად, საშინაო თუ საგარეო პოლიტიკით არიან დაკავებული, არაერთხელ განუცხადებიათ, რომ მსგავსი ბინძური წინასაარჩევნო კამპანია აშშ-ის ისტორიაში ჯერ არ ყოფილა. ამის დასტურია თუნდაც ერთი თვის წინ გამართული დებატები მოქმედ პრეზიდენტ ჯო ბაიდენსა და დონალდ ტრამპს შორის. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ამერიკელი პოლიტოლოგები უკვე თითქმის ერთი წელია, აღნიშნავენ, რომ დონალდ ტრამპის შეჩერება, საპრეზიდენტო არჩევნებიდან მისი ჩამოცილება, მხოლოდ მისი ლიკვიდაციით იქნება შესაძლებელი.

თუ ისტორიას გადავხედავთ, აშშ-ში პოლიტიკური მკვლელობები იშვიათი მოვლენა როდი ყოფილა. შორეულ წარსულში არ გადავეშვებით, გავიხსენებთ 60 წლის წინანდელ ტრაგიკულ მოვლენას, 35-ე პრეზიდენტის, ჯონ კენედის მკვლელობას. რამდენიმე წლის შემდეგ მოკლეს მისი ძმა რობერტი, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას აპირებდა. აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოებაც, რობერტ კენედი თავისი ძმის პრეზიდენტობის პერიოდში იუსტიციის მინისტრის თანამდებობას იკავებდა. უმცროსი რობერტ კენედი ინტერვიუებში ყოველთვის აღნიშნავს, რომ მის მამას არასოდეს სჯეროდა გამოძიების ობიექტურად ჩატარების და დაზვერვისა და სხვა სპეცსამსახურებს ძმის მკვლელობის ორგანიზებაში ადანაშაულებდა.

რადგან კენედების ოჯახი ვახსენეთ, აქვე შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ შარშან გამოთქვა უმცროსმა რობერტ კენედიმ სურვილი, მიეღო მონაწილეობა საპრეზიდენტო არჩევნებში დემოკრატიული პარტიიდან, მაგრამ მის კანდიდატურას პარტიაში მხარი არ დაუჭირეს. უფრო მეტიც, მან მიიღო მუქარის შემცველი შეტყობინებები, თუ არჩევნებში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამდა. თუმცა იგი ვერ შეაშინეს და წლევანდელ საპრეზიდენტო არჩევნების კენჭისყრაში მონაწილეობას მიიღებს, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი. ერთ-ერთმა პირველმა სწორედ მან დაგმო ტრამპზე თავდასხმა და მხარდაჭერაც გამოუცხადა ერთ-ერთ მთავარ კონკურენტს.

გასახსენებელია, ასევე, გასული საუკუნის 80-იან წლებში პრეზიდენტ რონალდ რეიგანზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა, რომლის შედეგადაც ასაკოვან პრეზიდენტს რთული ოპერაციის გადატანა მოუხდა.

სხვა, დაბალი ჩინის პოლიტიკოსების მკვლელობების გახსენება, რომლებიც მრავლად იყო ამერიკის უახლეს ისტორიაში, შორს წაგვიყვანს.

არც ევროპის კონტინენტზეა სიმშვიდე. გავიხსენოთ წლეულს მაისში სლოვაკეთის პრემიერ-მინისტრზე, რობერტ ფიცოზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა, ფაქტობრივად, ტერაქტი, რომლის შედეგადაც, ფიცო გარკვეული დროით ჩამოშორდა საქმიანობას, ვიდრე ჭრილობებს არ მოიშუშებდა და ჯანმრთელობას არ გაიუმჯობესებდა.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ სლოვაკეთის პრემიერის დაჭრას გულგრილად შეხვდნენ მსოფლიოს ცალკეული პოლიტიკოსები, რომლებმაც ლამის გაამართლეს თავდამსხმელი. ევროპარლამენტის ერთ-ერთმა ჩინოვნიკმა ისიც კი გაბედა, ფიცოს მაგალითით დაეშინებინა ჩვენი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე...

ლიბერალური ფაშიზმის, გლობალური ომის უჩინარი პარტიის მიზეზით ხდება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ე. წ. ფერადი რევოლუციები, ფაქტობრივად, სახელმწიფო გადატრიალებები, — ასე მიაჩნიათ მსოფლიოს, მათ შორის, აშშ-ის ექსპერტ-ანალიტიკოსებს.

პენსილვანიის შტატში დონალდ ტრამპს იმ დროს ესროლა ვინმე ტომას მეთიუს კრუსკიმ, როდესაც იგი ამომრჩევლებს ხვდებოდა. მართალია, ტრამპი გადარჩა (მხოლოდ მარჯვენა ყურის ზედა ნაწილი დაუზიანდა), მაგრამ დაიღუპა ერთი ქალი და მძიმედ დაიჭრა კიდევ ორი მოქალაქე. თავდამსხმელის ლიკვიდაცია სპეცსამსახურებმა 45 წამში მოახდინეს. რობერტ ფიცოს შემთხვევისგან განსხვავებით, ახლა თითქმის ყველა ქვეყნის მეთაურმა დაგმო ყოფილ და ამჟამად პრეზიდენტობის კანდიდატზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა. მათ შორის, პირველები იყვნენ აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი და ვიცე-პრეზიდენტი კამალა ჰარისი.

თავდაპირველად უცნობი იყო დონალდ ტრამპის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელიც უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა სამედიცინო დაწესებულებაში დაუყოვნებლივ გადაიყვანეს. თუმცა, ოპერატიულად გავრცელდა ფოტო, სადაც ტრამპი ხელის აწევით ანიშნებს მომხრეებს, რომ კარგად არის და მათ უყვირის: „ბრძოლას გავაგრძელებთ!“ მელანია ტრამპმა მეუღლის მომხრეებსა და, საერთოდ, ამერიკელ ხალხს 45-ე პრეზიდენტთან გაერთიანებისკენ მოუწოდა.

საჯაროდ დონალდ ტრამპი თავდასხმიდან ორი საათის შემდეგ გამოჩნდა, ვიდეოკადრები მისმა ოჯახმა გაავრცელა. დონალდ ტრამპმა მადლობა გადაუხადა უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს და ფანტასტიკური უწოდა მათ მოქმედებას, რომლებმაც ოპერატიულად შეძლეს 20 წლის თავდამსხმელის ლიკვიდირება. თუმცა, სიკვდილისგან ტრამპი იმპულსურობამ იხსნა, მან გამოსვლისას მკვეთრად მიაბრუნა თავი. სწორედ იმ დროს ისროლა სნაიპერმა, რომელიც მსროლელთა ერთ-ერთი კლუბის წევრია. ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენელთა განცხადებით, კრუკსი უცხო ქვეყნებთან დაკავშირებული არ ყოფილა.

მომხდარი შემთხვევის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ დონალდ ტრამპი ორი დღით გადადებდა მილუოკიში ჩასვლას, სადაც რესპუბლიკური პარტიის ყრილობა მიმდინარეობდა. თუმცა ტრამპი ჩავიდა ღონისძიებაზე, სადაც მის გამოსვლას მთელი ქვეყანა (მსოფლიო) ელოდებოდა. პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა მომხდარის გამო შეწყვიტა დასვენება და საჯარო განცხადება გააკეთა: „დროა, პოლიტიკური ვნებები ჩაცხრეს, ძალადობა ცხოვრების ნორმად არ უნდა იქცეს, მისი ადგილი ქვეყანაში არ არის!“

მომხდარს გამოძიების ფედერალური სამსახური იძიებს. ბაიდენმა პირობა მისცა მოსახლეობას, რომ ყველა ფაქტს მიუკერძოებლად გამოიძიებენ. თუმცა, რესპუბლიკელ კონგრესმენებს არ სჯერათ, რომ მომხდარს დაწვრილებით გამოიკვლევენ და ამიტომ აპირებენ საკანონმდებლო ორგანოში საგამოძიებო კომისიის შექმნას. აშშ-ის უსაფრთხოების სამსახურის განცხადებით, გაძლიერებულ დაცვას დაუნიშნავენ არამარტო დონალდ ტრამპს, არამედ მისი საარჩევნო შტაბის წევრებსაც.

მართალია, დონალდ ტრამპმა მაღალი შეფასება მისცა უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მოქმედებას, მაგრამ სხვაგვარად მიიჩნევს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ყოფილი ანალიტიკოსი ლარი ჯონსონი: „საიდუმლო სამსახურმა არ ან ვერ განახორციელა უსაფრთხოების სათანადო კონტროლი, ამიტომაც მოხდა ტრამპზე თავდასხმა“. დაველოდოთ გამოძიების დასრულებას, რომელმაც ბევრ შეკითხვას უნდა გასცეს პასუხი. აშშ-ში ახალი გამონათქვამი გავრცელდა: „ღმერთმა ტრამპი გადაარჩინა და არა — ამერიკა“.

ნატო-ს შექმნის საიუბილეო, 75-ე წლისთავი აღინიშნა გასულ კვირას აშშ-ის დედაქალაქ ვაშინგტონში. თუმცა, საზეიმო განწყობა არ ეტყობოდათ ალიანსის წევრი ქვეყნების მეთაურებს. ისინი განსაკუთრებით ჯო ბაიდენის ჯანმრთელობამ შეაშფოთა, როდესაც მიწვეული ქვეყნის, უკრაინის პრეზიდენტს, ვოლოდიმირ ზელენსკის უთმობდა ტრიბუნას, მან განაცხადა: „სიტყვა ეძლევა უკრაინის პრეზიდენტს, ვლადიმირ პუტინს“. ამის გარდა, კამალა ჰარისის ნაცვლად, ვიცე-პრეზიდენტად დონალდ ტრამპი მოიხსენია. მართალია, შეცდომა გამოასწორა, მაგრამ საზოგადოებაში ხინჯი მაინც დარჩა.

თუ ვინმე დარჩა წლევანდელი ნატო-ს სამიტით უკმაყოფილო, ერთ-ერთი ვოლოდიმირ ზელენსკი იყო, რომელსაც ოფიციალურად უთხრეს უარი ალიანსში გაწევრიანებაზე. უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი მარალიგაში გაემგზავრა ტრამპთან შესახვედრად. რაც პრესამ ალიანსში საერთო აზრის არარსებობად შეაფასეს.

პოლიტიკური ვითარება აშშ-ში კვლავ ბუნდოვანია. დონალდ ტრამპზე თავდასხმის განსჯის გარდა, დემოკრატიულ პარტიაში აქტიურად განიხილავენ, თუ ვინ შეიძლება ჩაანაცვლოს საპრეზიდენტო არჩევნებში ჯო ბაიდენი. პარტიის მთავარი სპონსორ-დამფინანსებლები უკვე ღიად ემუქრებიან დემოკრატიულ პარტიას — თუ საპრეზიდენტო არჩევნებში ჯო ბაიდენი მიიღებს მონაწილეობას, დაფინანსებას შეუწყვიტავენ.

რთული ვითარებაა, ასევე, ნატო-ს კიდევ ერთ მთავარ ქვეყანაში, საფრანგეთში. პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის მიერ გაუაზრებლად დანიშნული განვლილი საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ქვეყანაში, ფაქტობრივად, ორხელისუფლებიანობა დამყარდა. მაკრონმა ვერ შეძლო, საფრანგეთში ისეთი რეპუტაცია მოეპოვებინა, როგორიც ჰქონდათ ნაპოლეონს, პრეზიდენტ შარლ დე გოლს, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ეცადა, მათ დამსგავსებოდა. როგორ განვითარდება პოლიტიკური მოვლენები საფრანგეთში ოლიმპიურ თამაშებამდე, მისი მსვლელობის ან დასრულების შემდეგ, მალე გამოჩნდება. მსოფლიოში კი რადიკალური პოლიტიკური ცვლილებები, ფაქტობრივად, უკვე დაიწყო და საინტერესოა, რით დასრულდება...

გია ბურდული

ჩემი განვლილი ცხოვრება სიყვარულისა და შემეცნების გზაა

(დასასრული. დასაწყისი იხ. „სგ“ N25)

სინათლე გვირაბის ბოლოს

ჩემი მეუღლე — ეკა ჭიჭინაძე პროფესიით ფილოლოგია. ჩვენი ცოლქმრობა უკვე ოცდაათ წელს ითვლის. მაშინ არც შუქი იყო, არც გაზი, შეშის ღუმელი მედგა, რითაც სახელოსნოს ვათბობდი და მთელი შემოქმედებითი ბომონდი ჩემთან იკრიბებოდა. ზოგი ხატავდა, ზოგი ცეკვავდა, ზოგი უკრავდა, ვიღაც ლექსს წერდა. მოკლედ, ერთი ამბავი გვაქვს ატეხილი და უცებ, ამ არეულობაში გაიღო კარი და ეკამ შემოანათა. დავინახე თუ არა, გავიფიქრე: ეს რა მშვენიერება შემოვიდა ჩემს სახელოსნოში-მეთქი. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ვიზუალური მხარეა მნიშვნელოვანი, მაგრამ შემდგომ ურთიერთობისას მისი თვისებებიც გამოჩნდა. როცა ეს თვისებები თანხვედრაშია, მერე ორ ადამიანს შორის სიყვარული იბადება. ასე დაიბადა ჩვენი სიყვარულიც.

გვყავს ორი შვილი — ნატო და გიორგი შენგელაიები. ნატოს უკვე შვილებიც ჰყავს, სკოლის მოსწავლეები არიან. იგი ინგლისში გათხოვდა და ახლაც იქ ცხოვრობს. გიორგიმ ამერიკასა და საფრანგეთში მიიღო განათლება. ამჟამად თბილისშია, მუშაობს კინოსა და მუსიკის სფეროში, თავისი კინოსტუდია აქვს. მკაცრი მამა არასდროს ვყოფილვარ, პირიქით, მეგობრული ურთიერთობა გვაქვს. ყოველთვის ვცდილობდი, ჩემი გამოცდილება და ცოდნა მათთვისაც გადამეცა. ორივეს უყვარს წიგნების კითხვა, რაც მახარებს. აქვე, ჩემს ვაჟთან დაკავშირებით, ერთ საინტერესო ისტორიას გიამბობთ: გიორგი ხუთი წლის იყო, როდესაც პირველად სამეგრელოში წავიყვანე, იქ, სადაც პაპაჩემის — ნიკოლოზ შენგელაიას ფესვებია — წალენჯიხაში, სოფელ ობუჯში. თუმცა იქ ჩასვლამდე, ქირურგ ეგნატე ფიფიას საიუბილეო საღამოზე ვიყავით დაპატიჟებული და მასთან წავედით. იუბილე იქვე, სოფელ ჯვარში გაიმართა, საიდანაც ბატონი ეგნატე იყო წარმოშობით. გიორგიმ მკითხა: მამა, რომ მითხარი სამეგრელოში მიმყავხარ, როდის ჩავალთ სამეგრელოშიო. უკვე სამეგრელოში ვართ-მეთქი — ვუპასუხე. მან კი მტკიცედ მითხრა: ეს არ არის სამეგრელოო. ჯვარიდან, იუბილეს დასრულების შემდეგ, პაპაჩემის მამულში — ობუჯში გავეშურეთ. ეზოში შევდგით თუ არა ფეხი, ჩემს შვილს იქაურობის დანახვაზე თვალები გაუბრწყინდა. სამეგრელოში ეზოებში ყველგან ხასხასა მწვანე ბალახია. ჩვენს ეზოში დიდი მსხლის ხე და ნიკოლოზ შენგელაიასდროინდელი ძველი წისქვილიც გვედგა. ეზოში მდინარე შემოდის და იქვე ქვებისგან ამოშენებული თევზსაშენიც გვქონდა. ჩემმა ბიჭმა, გიორგიმ ეს ყველაფერი რომ დაინახა, აღმოხდა — აი, სამეგრელოო. ნამდვილი გარემო იქ შეიგრძნო. ანუ, შენს მშობლიურ ფესვებს, გენეტიკას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ხანდახან ხდება, რომ სხვაგან იზრდები, მაგრამ გენეტიკა, წინაპრების სისხლი შენში ჩქეფს, რასაც მძაფრად აღიქვამ.

მოპარული სადიპლომო ნამუშევარი

წიგნებს რაც შეეხება, გააჩნია, რა ხასიათზე ვარ, ბევრი წიგნი მიყვარს, მაგრამ გამორჩეულად მაინც „ვეფხისტყაოსანი“. ზოგადად, ყველა წიგნი მეძვირფასება. ყველა პერიოდში თითოეულმა წიგნმა დიდი ემოცია, განცდა, ინფორმაცია მომცა. იყო დრო, როცა უფრო ფრანგული რომანტიზმით ვიყავი გატაცებული, შემდეგ გერმანელი, ინგლისელი ავტორებით. რუსული ლიტერატურაც საოცრად მიყვარს: დოსტოევსკი, ტოლსტოი, პუშკინი... პირველი წიგნები, რაც წავიკითხე: „რობიზონ კრუზო“, „უთავო მხედარი“ და „განძთა კუნძული“ იყო. ბავშვობაში ჟიულ ვერნი ძალიან მიყვარდა, ასევე, ბულგაკოვი. სხვათა შორის, „ოსტატი და მარგარიტას“ წიგნის ილუსტრაცია გავაკეთე და მოსკოვის კინემატოგრაფიის ინსტიტუტს მივუძღვენი. ეს ილუსტრაცია დაიკარგა, ვიღაცამ მოიპარა. გული ძალიან დამწყდა. როგორც ჩანს, ასეთი ბედი მდევს. ჩემი სამხატვრო აკადემიის სადიპლომო ნამუშევარიც მოიპარეს გამოფენიდან. რა უნდა მეფიქრა: ალბათ, ვიღაცას იმდენად მოეწონა, რისკზე წავიდა და ნახატი მოიპარა. ჩემი პროფესია კი არა, თავად სამყარო მეხმარება, რომ ამ საქმიანობას დავეუფლო და მასში ვიმოღვაწეო. პროფესიიდან გამომდინარე, ბუნებრივი მოცემულობაა, რომ ჩემს გარშემო ადამიანებს, სამყაროს, პეიზაჟს, ყველაფერს ვაკვირდები. მხატვარი სამყაროს სულ სხვა თვალით უყურებს. ნიჭს ადამიანი, მისი შემოქმედება, ყველაფრისადმი დამოკიდებულება განსაზღვრავს. ქართული გამოთქმაა: ნიჭიერი კაცი ყველაფერში ნიჭიერიაო.

ოჯახი — სულიერი საყრდენი

ოჯახი ძალიან დიდი საყრდენი, ტაძარია. ეს უკანასკნელი კი კარგი ქვეყნის საფუძველია. ადამიანმა ისტორიულად ეს ფორმა იპოვა, არამხოლოდ ბიოლოგიურად გამრავლების, არამედ სულიერი საყრდენის, ზნეობრივი არსის. დიახ, ოჯახი არის საყრდენი, რომელიც ადამიანს საშუალებას აძლევს, უფრო მყარად იცხოვროს. ეს იგივე სამშობლოა. სიტყვა — სამშობლოში მშობლები ფიგურირებენ. სამშობლო არის ადგილი, სადაც შენი მშობლები იყვნენ, თავად შენ გაჩნდი, სადაც წინაპრები ცხოვრობდნენ. ბიოლოგიურადაც მათი გაჩენილი ვარ, სულიერადაც იმ გარემოს ვეზიარე, რაშიც ისინი არსებობდნენ, თავიდანვე შევისისხლხორცე ის ჰაერი, წყალი, ადამიანები, მეტყველება, ენა, მუსიკა... ეს ადამიანისთვის ძალიან დიდი განცდაა — სამშობლოს ნაწილი და მის შვილი ხარ. არსებობენ ადამიანები, რომელთაც სამშობლოს გარეშე გაძლება შეუძლიათ. არავის ვამტყუნებ, მაგრამ შეუძლებელია, ეს განცდა არ გქონდეს, თუ აქ დაიბადე, იცხოვრე, მიეყუდე, შენი სამშობლოს ისტორიას, კულტურას ეზიარე. განსაკუთრებით ისეთს, როგორიც ჩემი სამშობლოა. უფალს მადლობას ვუხდი, რომ აქ, ამ ქვეყანაში დავიბადე. არსებობენ ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ მიგრაციაში წლობით წასვლა, სხვაგან არსებობა. პირადად მე სხვაგან, ჩემი ფესვებიდან შორს ყოფნა ძალიან მიჭირს. წეღან გითხარით, რომ ხუთი წელი პარიზში ვცხოვრობდი, ზაფხულობით ჩამოვდიოდი კიდეც, მაგრამ მუდმივად ჩემს სამშობლოში რომ არ ვიყავი, ამას ძალიან მძაფრად განვიცდიდი. ჩემი სხვაგან გადარგვა ასე ადვილი არ არის.

მე ძნელად გადასარგავი მცენარე ვარ. ეს ყველაფერი განპირობებულია იმით, თუ როგორ აღვიქვი მე ახალგაზრდობაში ჩემი სამშობლო — საქართველო. ბევრი ქართული ოჯახიდან ბავშვები სასწავლებლად საზღვარგარეთ არიან წასულნი. ეს ცუდი არ არის, მაგრამ შვილებს უნდა ჩავუნერგოთ, რომ მათი სამშობლო, მომავალი საქართველოა და უცხოეთში მიღებული განათლება საკუთარ ქვეყანას უნდა მოახმარონ. ეჭვი მეპარება ჭეშმარიტი, ქართველი კაცი, სადმე სხვაგან, სამშობლოსგან მოშორებით ბედნიერი იყოს. როცა იქ ცხოვრობ, სადაც შენი ფესვები არაა, რა წარმატებასაც არ უნდა მიაღწიო და როგორც არ უნდა შეერწყა იმ ყველაფერს, გრძნობ, რომ მაინც რაღაც გაკლია.

ფესვებს როცა კარგავ, გარკვეულწილად, საყრდენი გეცლება. ფესვები არასდროს არ უნდა დაკარგო იმიტომ, რომ დედამიწაზე ყველას თავისი ადგილი აქვს, რაც სწორედ იმით არის მშვენიერი, რომ თითოეული ჩვენგანი ამ ადგილს იკავებს. თუ შენ ზუსტად შენს ადგილზე დგახარ, სწორედ მაშინ ხდები ყველასთვის საინტერესო, მაშინ არის შენი ამა თუ იმ ადგილას დგომა ფასეული.

აბა, დღეს მე ვის რა ვარგე?!

ზოგადად, საკუთარ თავს კითხვებს არ ვუსვამ, მაგრამ მარტო ყოფნისას ჩემთვის ვფიქრობ ხოლმე: რამდენად სწორად ვიცხოვრე, ან ვცხოვრობ. საკუთარ თავთან ბევრი კითხვა უჩნდება ადამიანს. მთელი ცხოვრება საკუთარ თავთან საუბარია: აბა, დღეს მე ვის რა ვარგე... ჩემი განვლილი ცხოვრება, ამ გადმოსახედიდან, სიყვარულისა და შემეცნების გზაა. ასევე, უდიდესი მადლიერება. ყველაფრის მადლიერი ვარ, რაც აქამდე უფალმა მომცა. თუმცა ბევრი ტკივილიც მქონია. ბუნებრივია, ცხოვრების გზა, სულ ია-ვარდით მოფენილი ვერ იქნება.

ზოგადად, ვცდილობ განვლილი ცხოვრება ნაკლებად გავიხსენო, რადგან მოგონებებს სინანული ერთვის. უფრო ის ადამიანები მახსენდება, ვინც იმ ცხოვრებაში მომყვებოდა და სამწუხაროდ, ახლა აღარ არიან — დედაჩემი — სოფიკო ჭიაურელი, მამაჩემი — გიორგი შენგელაია, ბებიები, ბაბუები, მეგობრები და უამრავი სხვა ადამიანი, რომელთაც სიცარიელე დამიტოვეს და ეს ჩემთვის ძალიან მტკივნეულია. საკუთარი თავისთვის დროც ბევრი მაქვს დაკარგული. შემეძლო თუნდაც ჩემს პროფესიაში — მხატვრობაში ბევრად მეტი შემექმნა. ხელიდან გაშვებული დროის გამო სევდა მიპყრობს — ნაკლებ დროს დავკარგავდი და უფრო მეტ დროს შემოქმედებას დავუთმობდი.

თამარ შველიძე



გნებავთ ნებაყოფლობითი სიკვდილი?

13 გვ.

საქართველოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა რომ იჭყლიტება, იმათ რა ქნან — შარშან რომ 100 ლარით რაღაცას იყიდიდი, ახლა იმავეს საყიდლად 140-150 ლარი გჭირდება და ამის გარდა კიდევ, ისედაც ინფლაცია აქვს ფულს, იბეჭდება და იბეჭდება ფული — ჭარბად არის მოსახლეობაში ლარის მასა. თუ არ ვცდები, 5 თუ 6 მლრდ არის დაბეჭდილი, ანუ ეკონომიკის გაჯანსაღებას უწოდებენ, მაგრამ ოდნავ არამდგრადი სიტუაცია და დოლარის კურსი მაშინვე ახტება და დახტება. ეს იმიტომ, რომ ვერ იჭერენ. მხოლოდ საქართველოში არ ხდება ასე, ბევრ ქვეყანაში იგივე სიტუაციაა, მაგრამ თვითონ ეკონომისტებიც თანხმდებიან იმაზე, რომ უნდა იყოს რაღაც ნორმები — ეს უკვე სხვა და ცალკე თემაა.

— ვთქვით, რომ სახელმწიფოსგან ნება არ არისო, მაგრამ მაინტერესებს, საიდან უნდა დაიწყონ, სად არის თავი...

— უნდა შედგეს სამუშაო ჯგუფი. ერთი მხრიდან უნდა იყოს მოთხოვნა — ერთ მხარეში ვგულისხმობ

მწარმოებლებსა და დისტრიბუტორებს; მეორე მხარე აუცილებლად უნდა იყოს სახელმწიფო სამსახური, რომელიც დაინტერესდება ამ საკითხით — სხვანაირად ეს პროცესი არ გაჩერდება!

კანონმდებლობაში უნდა ჩადოს ისეთი პუნქტები, რომელიც რაღაცრაღაცებს რაღაც მექანიზმებით დაიჭერს, თორემ კერძო ბიზნესია, ჩემია, მე რა ფასადაც მინდა, იმ ფასად გავყიდი! აი, აქ სჭირდება უკვე სახელმწიფოს ჩარევა, რომ სიტუაცია დაარეგულიროს. არის ქვეყნები, სადაც 10%-ზე მეტს სახელმწიფო გიკძალავს. აქ მიშვებულია! მიშვებულია, რადგან, მოკლედ რომ ვთქვათ, ყველას აწყობს და რიგითი ხალხი არავის ენაღვლება.

მე შემომტანი რომ ვარ და პროცენტს გამიზრდი, მე ფასში ავსახავ, რამდენიც გაიყიდება — გაიყიდება, რა ვქნა მე, მაგრამ შენ რომ ხარ მომხმარებელი და ყიდულობდი რაღაცას ლარად, ახლა კი 1,50 ლარად ყიდულობ, გრძელ დისტანციაზე ძალიან დიდ თანხას ნიშნავს, თორემ აქ ლარზე და ორ ლარზე არ არის ლაპარაკი, სამომხმარებლო კალათაზეა საუბარი. ვთქვათ, ოთხსულიან ოჯახს თვეში რომ სჭირდებოდა, პირობითად, 1200 ლარი, რომ თავი გაეტანა, ახლა ეს 1200 ლარი გახდა 1700 ლარი — მე ვამბობ მინიმალურს, თორემ 1700 ლარად ნორმალურად როგორ უნდა იცხოვროს ოჯახმა, თორემ 800 ლარზეც ცხოვრებენ და ის რა ცხოვრებაა. მხოლოდ კვება ხომ არ არის და უკვე სხვაგან გადადიხარ, ძალიან გარბის ხარჯები.

არასდროს არცერთ მთავრობას

არ უყვარდა ეს ქვეყანა და არც თვითონ ხალხს არ უყვარს არც ქვეყანა და არც საკუთარი თავი! ხალხს რომ რომელიმე უყვარდეს, იმის გამო კი არ გავიდოდა მიტინგზე, ვთქვათ, ე. წ. გამჭვირვალობის კანონი გააუქმეო, იმის გამო გავიდოდა რომ პროდუქტი გამიაფე, რომ ვიარსებოო — სოციალური მოთხოვნებით გავიდოდა!

ეს არის ჩემი პირადი აზრი, თორემ სრულიად განზე ვარ პოლიტიკიდან. არც ის მთავრობა იყო ხალხისთვის, ვინც აქამდე იყო, არც ესენი არიან და არც ის მესამე იქნება ვინც ოდესმე მოვა. მე მხოლოდ ის მინდა, რომ ჩემი ოჯახიანად ამ ქვეყანაში ვიცხოვრო და კარგად ვიცხოვრო, მხოლოდ არ ვიარსებო...

მიტინგებზე სულელური მოთხოვნებით ვინც იარა, რა მოიგო? შე დალოცვილო, ასე თუ გინდა მაგ მიტინგებზე სიარული, მოითხოვე, რომ ბანკებმა არ გაგყვლიფონ; ცხოვრება გაგიიაფდეს და ყველაფერი, რაც სოციალურ სფეროს ეხება და ყელში გაქვს ხელი წაჭერილი, ეს გააპროტესტე — ამაში ფულის დარიგება კი არ დაგჭირდება, მართლა გამოვა ხალხი და ყველა დაგიდგება გვერდზე!

როგორ შეიძლება თურქეთიდან შემოტანილი პროდუქტი პრიორიტეტში იყოს და შენს გლეხს იგივე პროდუქტი ულპებოდეს!

სახელმწიფო რომ ხარ, უნდა დაავალდებულო შენი ქსელური სუპერმარკეტები, რომ აი, მე ამდენ მოსავალს მოგიგროვებ საქართველოში, ქართულ პროდუქტს და შენ ვალდებული ხარ, გაყიდოო — ამოიწურება ეს კონკრეტული საკითხი. გლეხს გარანტირებულად ეცოდინება, რომ მოიყვანს ქართულ, ეკოლოგიურად ჯანსაღ პროდუქტს და გადასაყრელი არ გაუხდება, გაეყიდება. გლეხს ინტერესი გაუჩნდება და ბევრს მოიყვანს და იმავე ფასად ბაზარშიც გაყიდის. ახლა იქ ვიღაც „პლასტმასის პამიდორს“ ჩამოიტანს, შენზე 0,50 ლარით იაფს დაადებს და მორჩა შენი ამბავი!

მყიდველს ჯერ ფასი აინტერესებს, მერე უყურებს ხარისხს!

თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან საქართველოში ხილი რატომ უნდა შემოდიოდეს?!

გარგარი, სიტყვაზე, ჯანდაბას, არ მოდის საქართველოში იმდენი, რომ რამედ ჩაითვალოს, მაგრამ ყურძენი რატომ უნდა შემოვიდეს სომხეთიდან საქართველოში, თან უფრო იაფი ღირდეს არ გამაგიჟოთ, რაა!

— ხახვი და ნიორი? კასპის და გორის რაიონი მიაქვს...

— ჰო, მაგრამ არა, ირანული იყიდება, იმიტომ რომ ქართულზე 1 ლარით იაფია. კი, ვიზუალურად ლამაზია, მაგრამ შემადგელობა-გემო? ამას ვამბობ სწორედ, რომ ფასი და ვიზუალი წყვეტს და არა ხარისხი!

მოკლედ, გლეხს არ ეხმარება მთავრობა!

სახელმწიფო რომ ხარ, უნდა მოითხოვო ანგრიში ყველა სუპერმარკეტისგან, ვინ რამდენ ტონა და რა სახის ხილ-ბოსტნეულს ვაჭრობს და განუმარტო, რომ კონკრეტულ ფასად შენ მიაწვდი ქართულ და ჯანსაღ პროდუქციას, უნდა უბრძანო — ეს ხომ მაინც შეგიძლია, სახელმწიფო რომ ხარ!

თუ სეზონურია და ვთქვათ, შემოვიდა პამიდორი თურქეთიდან, იქაური ღირს 3 ლარი და ადგილობრივი — 4 ლარი, სეზონურ დროს განბაჟება იმ პამიდვრისა უნდა იყოს სხვა ფასი, ანუ მაღალი — ეს იმიტომ, რომ შენსას კონკურენცია ვერ გაუწიოს. პირიქით, შენ რომ გაიტანო თურქეთში მასეა, არ მოგცემენ საშუალებას, რომ ადგილობრივზე იაფად გაყიდო, რომც შეგეძლოს.

მე არ ვამბობ, რომ არსაიდან არაფერი არ უნდა შემოდეოდეს, რაც უნდათ, ის შემოიტანონ!

თან როგორ არის, იცი, ერთი წლით ადრე რომ ვაძლევ შეკვეთას პამიდორზე იმ თურქს, გაცილებით იაფად ვყიდულობ; აქ, ერთი წლით ადრე რომ გადავუხადო ტონობით პომიდვრის ფული მის მომყვანს, შეიძლება, მიზეზთა გამო, ღვიძლდაშლილი დამხვდეს — აქ სხვანაირად მუშაობს ეგ პრინციპი...

მაგალითად, წლების წინათ ზეთისხილის მთლიანი მოსავალი ვიყიდე და შემოვიტანე — ფასში იყო კატასტროფული მოგება, რადგან ნახევარ ფასში ყიდულობ, შესაბამისად, ადგილობრივზე იაფი გამომივა. ასეთ დროს ორივე მხარე კმაყოფილია, ის ჩემ ფულს მრავალჯერ დაატრიალებს და ფულს ზემოდან მოაგებინებს ფულს, მე კი იაფად ვიყიდე, იაფად ვყიდი და მაინც სერიოზული მოგება მრჩება.

— ახლა, ამ საუბრიდან, ათასნაირი ეჭვი გამიჩნდა... ერთი შენნაირი კაცი ვერ გამოძებნეს, თუ არ გამოძებნეს...

— გარდა ხელისუფლების ნებისა, ვიღაც უნდა იყოს ამ საკითხში ჩახედული — ძალიან ბევრი მექანიზმი არსებობს ამ საკითხის მოგვარებისა. მე ასე თუ ვილაპარაკებ, გულის მოსაოხებლად და ვისაც ეს საკითხი აინტერესებს, თორემ ვინ მიმიშვებს იქამდე...

მაია ჭელიძე

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99